მ ა ტ ი ა ნ ე

№3

"მატიანე მოჰგვარსენებს დასაბამითგანსა ჟამსა, წელსა და საუკუნოსა; მატიანე განარჩევს კეთილსა და ბოროტსა, მატიანე აღამაღლებს კეთილის ქმნულებასა და გმობს უკეთურთ ქმნულებასა; მატიანე მეგზუველებს ჭეშმარიტსა და არა სცდის და მოწმობს სხვათა და სხვათა; მატიანე განამხნობს კაცსა და ერთგულ ჰყოფს ქვეყნისად; მატიანე აცნობებს ნათესავთ ჩამომავლობასა; და დასდებს თავსა სარწმუნოებისათვის, და მოყვარულ ჰყოფს მოყვასსა მოყვასისა მიმართ."

ქართლის ცხოვრება

რედაქტორი: ზვიად გამსახურდია

თ ბ ი ლ ი ს ი

1988

## სარჩევი

1. საქართველოს ლეგალური მდგომარეობა. 3.
2. ქართველ ჯარისკაცთა წამებისა და მკვლელობის შემთხვევები საბჭოთა არმიაში. 7.
3. ქართველ პატრიოტთა პერმანენტული შიმშილობის მოთხოვნები. 12.
4. როდის ჩაისახა სამხრეთ ოსეთის სეპარატიზმი. 14.
5. ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დისკრიმინაცია. 16.
6. ბათუმის საზოგადოება მოითხოვს ქართული ეკლესიის გახსნას. 20.
7. სიკვდილმისჯილი ძეგლები. 23.
8. ზ. გამსახურდია - გამოველი თუ არა მე ცენტრალური ტელევიზიით 1978 წლის მაისში? 27.
9. უცხოეთის პრესა ამერიკელი კორესპონდენტების პაიპერისა და უიტნის პროცესის შესახებ. 30.
10. მერაბ კოსტავას განცხადება. 32.
11. ჰელსინკის ხელშეკრულების დასკვნითი აქტიდან. 34.
12. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსიფიკაცია. 36.
13. მოსკოვის სემინარის ნაციონალური სექციის მოთხოვნები. 37.
14. დაიცვათ ბავშვები!/მიმართვა მოსკოვის სემინარის მონაწილეებისადმი39.
15. უცხოეთის პრესის ფურცლებზე 42
16. სომხური მოხელეების პრივილეგიები ჯავახეთში. 45.

## საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა

ყოველივე ის, რაც საქართველოში ხდება დღეს, მოგვიწოდებს დიდი დაფიქრებისკენ. ჩვენ თვალი უნდა გავუმართოთ დღევანდელ რეალობას და გავაცნობიეროთ ის საფრთხე, რომლის წინაშეც დგას ჩვენი ერი. ჩვენ უნდა დავსახოთ კონკრეტული გზები ერის ხსნისა და მისი სოციალურ-კულტურული აღორძინებისა.

საქართველოს ანექსიისა და სოვეტიზაციის შემდგომ, ქართველი ხალხის მიმართ მასობრივი რეპრესიებისა და ასიმილაციის მოსკოვურმა პოლიტიკამ 20-იან, 30-იან, 40-იან, 50-იან წლებში, აგრეთვე ქართველთა ცნობილმა დეპორტაციებმა შუა აზიაში 1944 და 1952 წლებში, მიგვიყვანა საქართველოში ქართული მოსახლეობის პროცენტული რაოდენობის საგრძნობ შემცირებამდე /ამჟამად დაახლოებით 68% /.

საქართველოს ტერიტორია, ქართველი ხალხის უკითხავად, მოსკოვის მითითებით, დანაწილებულ იქნა მის მეზობლებს შორის: ასე მაგალითად, ქ. სოჭი და მისი შემოგარენი, რომელიც სოვეტიზაციამდე საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ეკუთვნოდა, მიიტაცა რუსეთმა და ამჟამად იგი რსფსრ-ს შემადგენლობაშია; თითქმის მთელი ჩრდილო-დასავლეთი საქართველო, მდინარე ენგურიდან მდინარე ფსოუმდე, გამოცხადდა ე.წ. "აფხაზეთის ასსრ"-დ, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზები ამ ტერიტორიაზე მოსახლეობის მხოლოდ 16% შეადგენენ, ხოლო იმხანად ძირითადად მთიან რაიონებში მკვიდრობდნენ. ქართული მოსახლეობა აქ გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანია / 44% /, ხოლო გალის რაიონში აფხაზური მოსახლეობა ერთ პროცენტსაც არ უდრის.

მსგავსად ამისა, აღმოსავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი, აღმოსავლეთ კახეთი ანუ საინგილო / კახის, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონები / გადაეცა აზერბაიჯანის სსრ-ს, ასევე ბერთუბნის მონასტრის ტერიტორია, ხოლო შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილი გამოცხადდა ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" ავტონომიურ ოლქად, სამხრეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი-ლორე გადაეცა სომხეთს.

ქართველ ქრისტიანებსა და ქართველ მაჰმადიანებს შორის შუღლის გასაღვივებლად, აგრეთვე თურქეთის მოსამადლიერებლად, შეიქმნა ე.წ. "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა", მიუხედავად იმისა, რომ აჭარლები ცალკე ხალხს არ წარმოადგენენ, ისინი ქართველებია, მათი ენა ქართულია, მათი კულტურა - ქართული კულტურაა და მათ დანარჩენი საქართველოსაგან განასხვავებს მხოლოდ სარწმუნოება / თუმც ნაწილი აჭარლებისა - მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან/.
იყო ცდები აგრეთვე სამეგრელოსა და სვანეთის "ცალკე ეროვნულ ერთეულებად" და "ავტონომიებად" გამოცხადებისა, რაც ჩაიშალა ქართველი ინტელიგენციის პროტესტების შედეგად.

აი, რა მოუტანა ქართველ ხალხს სტალინურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ, გენოციდისა და ასიმილაციის პოლიტიკამ, რომელიც მოქმედებდა ყველა დროის იმპერიების დევიზით: DIVIDE ET IMPERA / "გათიშე და იბატონე" /.

მასობრივი რეპრესიების, დეპორტაციებისა და ასიმილაციის პარალელურად, სოვეტიზაციის პირველი დღეებიდანვე დაიწყო განადგურება საქართველოს სულიერი და მატერიალური კულტურისა: თავისუფალი აზრისა და სიტყვის ჩახშობა, დამოუკიდებელი ჟურნალ-გაზეთების დახურვა, ცენზურის გაბატონება სულიერი ცხოვრების

ყველა სფეროში, ანტირელიგიური ტერორი, საქართველოს უძველესი კულტურის ძე-
გლების: ტაძრების, მონასტრებისა და ციხეების მასობრივი ნგრევა-აფეთქება
/განადგურდა 1400-მდე ძეგლი /, ძველი ხელნაწერებისა და წიგნების, ხატებისა
და სხვა საეკლესიო ინვენტარის განადგურება, სამღვდელოებისა და ეკლესიების ძა-
რცვა და დევნა.

რეპრესიებმა გაანადგურა ქართული ინტელიგენციის ნაღები, უნიჭიერესი ქართვე-
ლი მწერლები, მეცნიერები, მხატვრები და მუსიკოსები, ხოლო ცოცხლად შთენი-
ლებს სდევნიდა და ავიწროებდა იდეოლოგიური ცენზურა, თუმც ერთგულნი მაინც
იცავდნენ და ავითარებდნენ ეროვნულ კულტურას.

ამჟამად იდეოლოგიური ტირანია, მართალია, შესუსტდა, მაგრამ ქართველი ერის
არსებობას, მის ენას, მის კულტურას მაინც ემუქრება დიდი საფრთხე მრავალი
მიზეზის გამო. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ დღეს სსრ კავშირში გამოცხა-
დებული გარდაქმნა და დემოკრატიზაცია, თითქმის არ შეეხო ოფიციალურ ეროვნულ
პოლიტიკას, რომელიც კვლავ სტალინურ რელსებზე დგას და აგრძელებს ძველ კურს
საბჭოთა კავშირში შემავალი არარუსი ეროვნებების ჩაგვრისას და ასიმილაციის-
ას. ყოველივე ამის თვალსაჩინო მაგალითია საქართველო, უძველესი და უმდიდრესი
კულტურის ქვეყანა, რომლის არსებობაც დღეს განსაცდელშია.

ქართველი ერი დღეს გადაშენების გზაზეა დამდგარი ,კატასტროფიულად ეცემა
შობადობა, ცუდი ეკონომიური და საბინაო პირობების გამო, ცუდი სამედიცინო მომ-
სახურების გამო, ნარკომანიისა და ლოთობის გავრცელების შედეგად, გაზრდილი სა-
გზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შედეგად, განსაკუთრებით პროვინციებში.

ქართველთა დისკრიმინაცია სყოველთაო მოვლენაა საქართველოს მთელს ტერიტორი-
აზე, განსაკუთრებით კი პერიფერიებზე:/საინგილო, აფხაზეთის ასსრ, ჯავახეთი, სა-
მხრეთ ოსეთი და ა.შ. /. ამავე დროს ხდება პრივილეგირება სხვა ეროვნებათა წა-
რმომადგენლებისა, თვით საქართველოს დედაქალაქ თბილისში, განსაკუთრებით ბი-
ნებისა და სამუშაო ადგილების განაწილების სფეროში. საკადრო პოლიტიკა საქარ-
თველოში მკვეთრად ანტიქართულ იერს ატარებს, ხშირია პასუხსაგებ პოსტებზე და
ნომენკლატურულ თანამდებობებზე არაქართველთა დანიშვნა, რომელნიც ანტიქართულ
პოლიტიკას ატარებენ. ყოველივე ამას კი ხელისუფალნი "ინტერნაციონალიზმად" ნა-
თლავენ.

საქართველოს სსრ უმაღლეს სასწავლებლებში გამეფებული კორუფციის შედეგად,
სამუშაო ადგილების სიმცირის შედეგად, აგრეთვე საყოველთაო სამხედრო ბეგარის
შედეგად ძლიერდება ახალგაზრდობის მიგრაცია საქართველოს ფარგლებს გარეთ,
განსაკუთრებით რსფსრ-ში, სადაც ხელისუფალნი ყოველგვარ პირობებს ქმნიან იმი-
სთვის, რომ საქართველოდან მიგრირებული მოსახლეობა უკან აღარ დაბრუნდეს. პა-
რალელურად ძლიერდება საქართველოს ტერიტორიის აფრელება არაქართული / განსა-
კუთრებით აზერბეიჯანული და სომხური / მოსახლეობით.

სოფლის მოსახლეობა ცუდი ეკონომიური პირობების მიზეზით ქალაქებისკენ მიილტ-
ვის, უშედეგოა ცალკეული ცდები ქართული სოფლის აღორძინებისა, არ ვითარდება
მეცხოველეობა, საკვები ბაზისა და საძოვრების სიმცირის გამო, განსაკუთრებით
დასავლეთ საქართველოში, რომლის დიდი ნაწილი ჩაის პლანტაციებსა და ციტრუსებს
უჭირავთ. ეს ყოველივე კი აუარესებს მეცხოველეობის განვითარების პერსპექტივებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახლეობის პროდუქტებით მომარაგებას, რის შედეგადაც ძირითად საკვებ პროდუქტებზე ტალონებია შემოღებული.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენა კონსტიტუციურად გამოცხადებულია საქართველოს სსრ სახელმწიფო ენად / 75-ე მუხლი /, იგი მთლიანად გამოდევნილია ოფიციალური ხმარებიდან დაწესებულებებში, მოკლებულია იურიდიულ უფლებამოსილებას. საქართველოს სსრ უმაღლეს სასწავლებლებში გაუქმებით მცირდება ქართული სექტორები, სკოლებში არ ისწავლება საქართველოს ისტორია და გეოგრაფია, მცირდება ქართული ენისა და ლიტერატურის საათები რუსულის გაზრდის პარალელურად.

არ შეინიშნება საგრძნობი გაუმჯობესება ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მდგომარეობისა. საქართველოს აშკარა დისკრიმინაციაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ჩვენში არ არსებობს რელიგიის საქმეთა რესპუბლიკური საბჭო, როგორც მაგალითად სომხეთში, უკრაინაში და ა.შ., საქართველოს ეკლესიის საქმეებს განაგებს მოსკოვის რწმუნებული, რომელიც არ ექვემდებარება საქართველოს სსრ მთავრობას, ხოლო აჭარის ასსრ და აფხაზეთის ასსრ რელიგიის საქმეთა რწმუნებულები მას როდი ექვემდებარებიან, არამედ მოსკოვს. გარდა ამისა, არცერთ საბჭოთა რესპუბლიკის რწმუნებულს არ ჰყავს ოფიციალურ მოადგილედ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის წარმომადგენელი, როგორც ამას ადგილი აქვს საქართველოში, სადაც ეკლესიის მმართველობა თითქმის მთლიანად უზურპირებული აქვს უშიშროების კომიტეტს, რწმუნებულის მოადგილის შტატის მეშვეობით, რომელიც უკიდურესად ზღუდავს პატრიარქის უფლებებს მისი გამუდმებული ტერორიზების გზით. ამის შედეგად ქართულ ეკლესიას არ გააჩნია თვით ის ელემენტარული უფლებებიც კი, რომლითაც სარგებლობენ სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ეკლესიები, მაგ. მას არა აქვს საკუთარი გამომცემლობა, ტიპოგრაფია, მისი პუბლიკაციებიც უკიდურესად შეზღუდულია. ქართული ენა დღემდე იგნორირებულია დასავლეთ საქართველოს ეპარქიებში / სოხუმი, ფოთი, ბათუმი/, აჭარაში და საინგილოში ხელისუფალნი კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ქართული ეკლესიის გახსნას. აჭარის მოსახლეობას ეკრძალება ქრისტიანული ნათლობის მიღება, მაშინ როდესაც ისლამს ოფიციალური მხარდაჭერა აქვს.

საქართველოს მოსახლეობას, მის ბუნებას და კულტურის ძეგლებს უდიდეს საფრთხეს უქმნის ტრანსკავკასიის რკინიგზის, აგრეთვე ახალი ჰიდროელექტრო/სადგურების და წყალსაცავების მშენებლობა /მინაძე-ჰესი, ხუდონ-ჰესი, ტობარ-ჰესი, ფარ-ჰესი, ნამოხვან-ჰესი, მესტია-ჰესი, ახალი ხრამ-ჰესი და ა.შ./ გრძელდება ქართული კულტურის ძეგლთა განადგურება სამხედრო ძალით / დავით-გარეჯის საარტილერიო პოლიგონი, ზებგერითი თვითმფრინავების ტრასა გელათის, იყალთოს, ალავერდის და სხვა ტაძრების თავზე/, საფრთხეშია უფლისციხე, შაორის წყალსაცავის შედეგად ტენიანობის გაზრდით საფრთხე ემუქრება ნიკორწმინდას, იგეგმება ახალი ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა აღმოსავლეთ საქართველოში.

მესხეთ-ჯავახეთი დანარჩენ საქართველოს მოწყვეტილია სასაზღვრო ზონის შლაგბაუმით, ერთგვარი "ბერლინის კედლით" საქართველოში, რაც ძლიერ უშლის ხელს ქართული ორიენტაციის მაჰმადიან მესხთა რეპატრიაციას ამ მხარეში. ხელისუფალნი

მესხებს დღემდე უარს ეუბნებიან ქართული ეროვნებისა და გვარების აღდგენაზე, მათი ასობით განცხადება უპასუხოდ რჩება, გარდა ამისა, მათთვის დღემდე არ მიუციათ ოფიციალური განმარტება, თუ რად მოხდა მათი დეპორტაცია შუა აზიაში 1944 წელს, არ მომხდარა მათი რეაბილიტაცია. ასეთივე სასაზღვრო ზონით არის მოწყვეტილი მთიანი აჭარა დანარჩენ საქართველოს, რაც ერთერთი მიზეზია აჭარელთა მიგრაციისა რუსეთში და შუა აზიაში.

მოსკოვი აგრძელებს შაჰ-აბასის პოლიტიკას საქართველოში, კახეთში მიმდინარეობს ბრძოლა ვაზის კულტურის წინააღმდეგ, გახშირდა ვაზების აჩეხვა, თანაც ამას წინად მოსკოვიდან მიღებული ინსტრუქციის თანახმად უნდა მოხდეს 20 ათასამდე აზერბეიჯანელის განსახლება ქართლ-კახეთის სხვადასხვა რაიონებში, ვითომდაც აგროსამრეწველო კომპლექსის საჭიროებისათვის. თბილისი უკვე აზერბეიჯანული მოსახლეობის ალყაშია, გრძელდება რუსთავის აზერბეიჯანიზაცია. საინგილოში გრძელდება ქართველთა ჩაგვრა-შევიწროება, ამას წინად კახის რაიონში დამატებით ჩაასახლეს ყარაბაღიდან აყრილი 120 აზერბეიჯანული ოჯახი.

ე.წ. "აფხაზეთის ასსრ"-ში გრძელდება ქართველთა დისკრიმინაცია და შევიწროება, განსაკუთრებით გაგრა-გუდაუთში. გრძელდება ქართული ტოპონიმების თვითნებური შეცვლა-დამახინჯება, ისტორიის ფალსიფიკაცია. აჭარაში შექმნილია მძიმე ეკოლოგიური სიტუაცია ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მიერ გარემოს დაბინძურების შედეგად.

საქართველოში შექმნილი ვითარების გამო, ქართველი ერის, მისი ენისა და კულტურის განადგურების ცდების მხილებისა და ალკვეთის მიზნით, ჩვენ მოვუწოდებთ ქართველ ხალხს ეროვნულ ძალთა მობილიზაციისაკენ, პროტესტის ყოველგვარი ფორმების გააქტიურებისაკენ, ეროვნული თვითგამოცემითი ლიტერატურის მაქსიმალურად გამრავლება-გავრცელებისაკენ და პერმანენტული საპროტესტო მიტინგების გაგრძელებისაკენ.

1988 წ.

ჰელსინკის ხელშეკრულების შესრულებისათვის ხელისშემწყობი ჯგუფი საქართველოში

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების /მეოთხე დასის/ საკოორდინაციო ცენტრი

## ქართველ ჯარისკაცთა წამებისა და მკვლელობის ფაქტები საბჭოთა არმიაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს

მცხოვრებ ახმეტის რ-ის სოფელ ზემო ალვანში
მოქალაქე ირაკლი ალექსის-ძე არაბულის

### ახსნა-განმარტებითი ბარათი

ჩემი შვილი, მამუკა ირაკლის-ძე არაბული, ზემო ალვანის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, მუშაობდა ასტრახანის ოლქის ჩორნი იარის რაიონში, პურკომბინატში, საიდანაც გაწვეულ იქნა სავალდებულო სამხედრო სამსახურში. იგი მსახურობდა მოსკოვის ოლქის ქ. ჟუკოვსკში, ს/ნ N52878. 1987 წლის ივნისიდან მსახურობის ამ პერიოდში რაიმე შენიშვნა არ მიუღია. ბოლო წერილებში იწერებოდა უფროსების მიერ კავკასიელების შევიწროებაზე. აღნიშნავდა, რომ უშუალო მათი უფროსები რომელი ჯარისკაცებისგანაც პატივისცემას ვერ ღებულობდნენ, განსაკუთრებულად მკაცრად ექცეოდნენ.

ამა წლის 19 აპრილს, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, მწყობრის წინ გამოიყვანა ლეიტენანტმა მაკაროვმა და გამოუცხადა ხუთი დღე-ღამით პატიმრობა. ათეულის მეთაურმა რომ იკითხა დაპატიმრების მიზეზი, ლეიტენანტმა მაკაროვმა ბრალდებად წაუყენა უსაფრთხოების ტექნიკის დარღვევა. იმავე საღამოს მაკაროვმა მამუკა წაიყვანა მეზობელი ნაწილის ჰაუპტვახტში, რადგან მათ ნაწილს საპატიმრო არ ჰქონია. საპატიმროს უფროსი იყო სისასტიკით და სადიზმით ცნობილი კამუნკი, რომელსაც თავისი ხანგრძლივი სამსახურის მანძილზე ბევრი არარუსი ჯარისკაცი უწამებია. საყურადღებოა, მაკაროვმა დაავალა ჯალათ კამუნკს არაბული განსაკუთრებულად ეწამებინა. მამუკას ამხანაგი ჯარისკაცები აღნიშნავდნენ მაკაროვის განსაკუთრებულ ცუდ დამოკიდებულებას მამუკას მიმართ. მათ შორის პირველი ინციდენტი მოხდა დაპატიმრებამდე ორი კვირით ადრე.

სამუშაოზე წასვლის წინ ავტობუსში ასვლისას მაკაროვი უხეშად მოექცა მამუკას, რომელმაც თავი ვეღარ შეიკავა და უხეშობითვე უპასუხა. ამაზე ჰყვებიან მამუკას ამხანაგები. მშენებლობაზე მისვლისას მაკაროვმა და გიორგი დუმირატოვმა მამუკა გამოაცალკევეს. გიორგი დუმირატოვი არის მშენებლობის უფროსის ვაჟი, წარმოშობით ხაშურელი ოსი, რომელმაც არ იცის არც ქართული და არც მშობლიური ენა, არის რუსულ ტრადიციებზე გაზრდილი და მუშაობდა მამასთან მშენებლობაზე სამუშაოთა მწარმოებლად.

აღნიშნულმა პირებმა მამუკა შეიყვანეს ჯარისკაცების გასახდელში, პირველად მამუკა შევიდა, მას მიჰყვნენ მაკაროვი და დუმირატოვი.

მოულოდნელად მაკაროვმა გაარტყა მამუკას. მამუკამ წამიერად გრძნობა დაკარგა. გრძნობაზე რომ მოვიდა, მაკაროვმა კვლავ გაარტყა და ლეიტენანტმა უმოწყალოდ სცემა. ამ დროს დუმირატოვი მაყურებლის როლში გამოდიოდა. ბოლოს მამუკამ შეძლო ხელი ეგდო იქვე დაგდებული ნაჯახი და გაიწია ლეიტენანტისკენ. დუმირატოვმა საშუალება არ მისცა მამუკას ემოქმედნა. მაკაროვი გარეთ გავარდა. ხმაურზე მეზობელი კორპუსის ოთახიდან გამოცვივდნენ ქართველი ჯარისკაცები, რომელთაც დაინა-

ხეს დასისხლიანებული და ჩალურჯებული მამუკა, მიხვდნენ მდგომარეობას, სტა-ცეს მაკაროვს ხელი და მოიწადინეს მისი ცემა. მაკაროვს ლუმინატოვი გამოესარჩლა და არ მისცა ჯარისკაცებს საშუალება ეცემათ მაკაროვი. ამ ამბის მონაწილენი არიან ჯარისკაცები შალვა ჯულელი, კახა ღადუა, ნოდარ მესტიანი, რამაზ ჯაჭაძე. ჯარისკაცებმა ურჩიეს მამუკას ეჩივლა მაკაროვისთვის, მაგრამ მამუკამ ეს არ მოისურვა, ახლა გადმოგვცემენ ამ ამბავს მისი ამხანაგი ჯარისკაცები.

მომხდარი ამბის შემდეგ მაკაროვმა და ლუმინატოვმა სისტემატურად დაიწყეს ნაწილის უფროსთან, რუხაძესთან, მამუკას დასმენა, ცილისწამება, თითქოს მამუკა არღვევდა ტექნიკის უსაფრთხოების წესებს, რის შედეგადაც რუხაძე შეცდომაში შეიყვანეს და ხუთი დღის პატიმრობა მიუსაჯა მაკაროვმა რუხაძის სახელით.

მეექვსე საკნის პატიმარი გაქცეული სოსო მურადიანის გადმოცემით ჰაუპტვახტის მე-7, მე-8 და მე-9 საკნებში სამი პატიმარი მოიყვანეს, მათ შორის იყო მამუკაც. მამუკა მე-9 საკანში მოათავსეს. თითოეული პატიმრის წინააღმდეგ გამოყენებული იქნა წამების მეთოდი, რომელსაც ჯალათები "ლასტოჩკას" ეძახიან, რაც მდგომარეობს შემდეგში: ჯარისკაცს აგდებენ მუცელზე, ხელებს ზურგზე უბამენ, გაკოჭილ ფეხებზე მოჭიმავენ თოკს, კისერზე გადმოატარებენ და ნელ-ნელა, მეთოდურად თოკს ჭიმავენ, ძლიერი ტკივილებისაგან მსხვერპლი ღრიალებს, თოკის უფრო მეტად მოჭიმვის შემდეგ ყვირილს წყვეტს, პირიდან ქაფი გადმოსდის, ხრიალს იწყებს და პატიმარი უკვე გრძნობას კარგავს. თვით ამ მეთოდით არაერთგზის უწამებიათ მურადიანი გრძნობის დაკარგვამდე.

ამ მეთოდით აწამეს მე-7 საკნის პატიმარი სათოევი, ჩრდილო კავკასიელი ქისტი, შემდეგ ასეთივე წამება გაგრძელდა მე-8 საკანში, სადაც იმყოფებოდა საბა ზურიკაშვილი, ბოლოს მოვიდნენ მე-9 საკანში, სადაც მამუკა იმყოფებოდა. მამუკას საკნიდან დაახლოებით 20 წუთამდე ისმოდა ყვირილი და ხმაური. მურადიანის გადმოცემით მამუკას ყვირილი ხრიალით შეიცვალა, რაც მალე მთლიანად შეწყდა.

მურადიანი ამბობს: "მე მივხვდი, მამუკამ გრძნობა დაკარგა, მამუკას წამებას წარმართავდა ჰაუპტვახტის უფროსი კამენკო თავისი სამი ჯარისკაცით, წამებას ესწრებოდნენ: ნაწილის მორიგე მაიორი შამრაი, ყარაულის უფროსი - უფროსი პრაპორშჩიკი კოლოსოვი.

მამუკას სიკვდილის დღეს, 28 აპრილს, მაიორ შამრაის შეკრებით მშენებლობის ტერიტორიაზე რვა ჭირისუფლისა და 5 ჯარისკაცის თანდასწრებით, როცა იგი დავადანაშაულეთ მამუკას წამებით მკვლელობაში მონაწილეობის მიღებაში, მან ცინიკურად განაცხადა - მე მამუკას მკვლელობაში მონაწილეობა არ მიმიღია, მე ვიდექი და ვუყურებდით.

ჯარისკაცი მურადიანი აცხადებს: მამუკას წამების შემდეგ ჯალათებმა ჩემს საკანთან რომ გაიარეს, კამენკოს ვთხოვე არაბულისათვის თოკები შეეხსნათ თორემ იგი დაიხრჩობა - მეთქი, რაზეც მან მიპასუხა: "ჩუმად იყავი მურადიანო, თორემ შენც მაგას გიზამთ. ისინი წავიდნენ და 15-ოდე წუთის შემდეგ დაბრუნდნენ ნაწილის უფროსის პოლკოვნიკ იანოვიჩის, შტაბის უფროსის დავალიშვილის და ნაწილის უფროსის მოადგილის პოლიტდარგში მაიორ სალოვენკოს თანხლებით და დაიწყეს წამებულის თოკებისაგან განთავისუფლება. ჯერ მე-7 საკანში შეუხსნეს ხელები სა-

თოეს. პატიმარი ლასლასით წავიდა პირის დასაბანად, შემდეგ გაანთავისუფლეს მე-8 საკნის პატიმარი საბა ბერიკაშვილი, რომელმაც წამებისაგან გატანჯულმა სავარცხლის ნატეხით სცადა ვენების გადაჭრა. სანამ — ბერიკაშვილი დააწყ-ნარეს, კიდევ გავიდა გარკვეული დრო. შემდეგ მივიდნენ მე-9 საკანში. ატყდა ჩო-ჩქოლი და აქეთ-იქით სირბილი. არაბული გამოიტანეს დერეფანში და დაუწყეს პირვე-ლი დახმარების აღმოჩენა. მე დავინახე, რომ ერთერთმა მამუკას ხელი აუწია და როცა გაუშვა, ხელი დაეცა მოწყვეტით. მაშინვე მივხვდი, რომ მათ მოახრჩვეს ჯა-რისკაცი. ერთი-ორი საათის განმავლობაში თვითონ ცდილობდნენ ნაწილის ექიმის და-ხმარებით მოეყვანათ გრძნობაზე, შემდეგ გამოიძახეს სასწრაფო დახმარების მან-ქანა. სასწრაფო დახმარების პერსონალი ორი საათის განმავლობაში ცდილობდა მის გადარჩენას, რითაც ძვირფას დროს კარგავდნენ და ბოლოსდა წაიყვანეს საავადმყო-ფოში, ქალაქის ცენტრალურ საავადმყოფოში, სადაც იგი გრძნობაზე მოუსვლელად 28 აპრილს გარდაიცვალა.

მამუკა არაბულის ამგვარი კერძო შემთხვევა არაა. ეს მეთოდი შეიარაღებულ ძა-ლებში დამკვიდრებული და მეთაურებისათვის კარგად ცნობილი წამების მეთოდია, რო-მლებსაც იყენებენ და იყენებდნენ არარუსი ჯარისკაცების მიმართ. მარტო ზემო ალ-ვანში ოთხი შემთხვევა აღინიშნა ამ ბოლო ხანებში, რომელიც ჯარისკაცების სიკ-ვდილით დამთავრდა, გაურკვეველ გარემოებაში, გაურკვეველი მიზეზებით. გოგი თე-ნგიზის-ძე წკიპოშვილი მოკლულ იქნა თოფით და სასამართლოზე მკვლელები კი არ და-უბარებიათ. 2. მამუკა კოსტას-ძე იდიძე — ამბობენ გაიგუდა, ზუსტი მიზეზი არა-ვინ იცის. 3. ხვიჩა გიგოს-ძე თორღოშვილი — ვითომ რაკეტამზიდის ქვეშ უცნაურ ვი-თარებაში დაიღუპა. მიმდინარე წლის ოთხ თვეში თბილისის აეროპორტის ტვირთის მიმ-ღების პერსონალის ჩვენებით მსგავსი 28 შემთხვევაა.

როგორც ირკვევა, ქალაქ ტუკუმსკის სამხედრო ნაწილში ჯალათი კამენკო ადრეც მიმართავდა არარუსი ჯარისკაცების წამებას, რაც შეუძლებელია არ სცოდნოდათ კა-მენკოს უფროსებს. ამ მიმართულებით შეიძლება დასახელებულ იქნას თვითმხილველნი და დაზარალებულნი.

1985-87 წლებში მსახურობდა ქ. ლიტკარონოში ზემო ალვანში მცხოვრები თენგიზ აბოს-ძე მიქაიძე. მიქაიძე ჯალათმა კამენკომ სხვადასხვა მეთოდებით აწამა, რის შედეგადაც დაავადდა ფილტვებით და ერთი თვის განმავლობაში სამხედრო ჰოსპიტალ-ში მკურნალობდნენ. ასევე მრავალჯერ უწამებიათ თელავის მცხოვრები ვანო ბერძენი-შვილი, რომელიც თენგიზ მიქაიძესთან ერთად მსახურობდა, მასზედაც გამოუყენები-ათ წამების მრავალი მეთოდი, მათ შორის "ლასტოჩკაც".

1983-85 წლებში თბილისელი მამუკა აკაკის-ძე მამულაშვილი იმავე კამენკოს მი-ერ ბევრჯერ იყო ნაწამები და მასზეც იყენებდა წამების მრავალ მეთოდს.

ჩემთვის ეს წარმოუდგენელია. ადრე ასე მეგონა, რომ ეს შეიძლება მომხდარიყო რასისტულ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ანდა სხვა ფაშისტურ ქვეყანაში. რითი ავხსნათ, როცა ეს ყველაფერი ხდება საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში. ფუ-ჭად ხომ არ ჩაუვლია იმ შვიდასი ათასი ქართველის სისხლს, ბოლო ომში რუსეთის სა-ქმისათვის რომ დაანთხია საქართველომ? ეს ტერორი გამოვლინება ხომ არაა იმ კამ-პანიისა, რომელსაც ცენტრალური პრესა ეწევა ქართველ მოღვაწეთა წინააღმდეგ?

ჩვენ დათრგუნულნი ვართ და გამოსავალს ველით!

5.7.1988წ. ირაკლი არაბული. ახმეტის რ-ის სოფ. ზემო ალვანი.

## დამატებითი ცნობები ჯარისკაცთა წამების შესახებ

### გივი ამირანის-ძე კირვალიძის ჩვენება

"ვიმსახურე ლიტკარინოში 85-87 წლებში. ჰაუპტვახტში ნაჯდომი ვარ 80 სუტკამდე. პირველად მოვხვდი ორი კვირის ნამსახურევი, 5 სუტკით, კამენკოს ჰაუპტვახტში, სადაც კამენკოს მითითებით მაწამეს. ბიჭებმა დამიჭირეს, ხელფეხი დამიჭირეს და მცემეს ფეხებით და თოფის კონდახით.

ქართველებს აბუჩად გვიგდებდნენ: ჰაუპტვახტში რუსებს არ ამუშავებენ, ქართველებს და საერთოდ კავკასიელებს კი ამუშავებდნენ და თან დასცინოდნენ: მაგალითად, დილით ადგომაზე რუსებს არ აყენებდნენ საწოლიდან, ქართველებს კი გვაიძულებდნენ ავმდგარიყავით და გველოდინა როდის გაიღვიძებდნენ რუსები. აი ასეთი დამცირებები გადავიტანეთ კავკასიელებმა.

გივი ამირანის-ძე კვირიკაძე. თელავის რ-ნი, სოფ. ვანთა.

### თენგიზ აბრამის-ძე მიქაიძის ჩვენებებიდან

1985-1987 წლებში ვმსახურობდი ქ. ლიტკარინოში, ს/ნ N55221. ჩვენს ნაწილს არ ჰქონდა ჰაუპტვახტი, ამიტომ პატიმრებს აგზავნიდნენ ახლო ნაწილებში განლაგებული ორი ჰაუპტვახტიდან ერთერთში. განსაკუთრებული სადისტური წამების მეთოდით გამოირჩეოდა 015 ნაწილის ჰაუპტვახტი.

ჩემი იქ სამსახურის დროს იყო არაერთი შემთხვევა, როდესაც ჩვენი ნაწილის ჯარისკაცი აწამეს, სცემეს და "ლასტოჩკას" წამების მეთოდიც გაუკეთეს. შემდეგ დაავადმყოფებული ნაცემი ჯარისკაცები გადმოჰყავდათ ქ. ხიმკის სამხედრო ჰოსპიტალში. ჯალათი კამენკოს გვარის გაგონება ჩვენს ჯარისკაცებს შიშის ზარს სცემდა და ვცდილობდით იმის ჰაუპტვახტში არ მოვხვედრილიყავით. არ შეიძლებოდა მეთაურებს არ სცოდნოდათ კამენკოს წამების მეთოდების შესახებ, ნაწამებ ჯარისკაცებს ხომ სამხედრო ჰოსპიტალში აგზავნიდნენ.

1985 წლის დეკემბერში მომისაჯეს 5 დღე-ღამის პატიმრობა, კამენკოს ჰაუპტვახტში მიმიყვანეს და ჩამსვეს მე-6 საკანში. მეორე დღეს დერეფანში აწამეს უზბეკი ჯარისკაცი. ჯერ ხმაურის მიხედვით მივხვდით, რომ ჯერ სცემეს და აწამეს, მერე საერთო საკანში შეაგდეს. შემდეგ შემოვიდნენ ჩემს მეზობელ საერთო საკანში, მაგრამ იქ იმყოფებოდა ერთი აზერბაიჯანელი და სომეხი ჯარისკაცი, ყვირილზე და ტირილზე მივხვდი, რომ მას ერთი კი არ სცემდა, არამედ რამდენიმე ჯალათი. ბოლოს ცემა შეწყდა, მოისმა ტაბურეტის ჭრიალი და კაცის ხრიალი, მივხვდი, რომ მას "ლასტოჩკა" გაუკეთეს და ტაბურეტზე დააგდეს. დილეგის ჯალათებს შორის სისასტიკით გამოირჩეოდნენ კამენკო და ჯარისკაცი ტუკი. ჩემი სამსახურის დროს არ მახსოვს არც ერთი შემთხვევა, რომ წამების ეს მეთოდი რუსი ჯარისკაცებისათვის გაეკეთებინოთ. არარუს ჯარისკაცებს რომ "ლასტოჩკას" მეთოდით აწამებდნენ, ეს შემთხვევები ძალიან ბევრი იყო.

პირადად ჩემთვის წამების მეთოდი "ლასტოჩკა" არ ჩაუტარებიათ, მაგრამ პირველ დღეს კონდახი დამარტყეს მხარში, მეორე დღეს საკანი წამართვეს. საკნის მინა გატეხილი იყო, ეგებ სპეციალურად ამოღებულიც, რის გამოც შიგნით იგივე ტემპერატურა იყო, რაც გარეთ, ეს კი დეკემბრის თვეში ხდებოდა. შემდეგ კი ის იყო, რომ მესამე დღეს ფილტვების ანთება დამემართა, ჯერ რუს სერჟანტს ვემუდარე

სან-ნაწილში გავეგზავნე და მან ყური არ დამიგდო, შემდეგ მოლდაველ სერჟანტ-თან გასჭრა მუცელი, გაიღო მოწყალება და სანიტარულ ნაწილში მიმიყვანეს. შემ-დეგ გადამიყვანეს სამხედრო ჰოსპიტალში და ერთი თვე მკურნალობდნენ.
ერთი მეგრელი ჯარისკაცის გვარი მახსოვს -ჩიქვია დათო, რომელსაც წამების მე-თოდი "ლასტოჩკა" გაუკეთეს, საწყალი ერთი პატარა ჩია ტანის ბიჭი იყო, ამ მე-თოდით წამებას როგორ გაუძლო, მე მისი სურათებიც მაქვს.

ნარეთ თელაველი ვანო ბერძენიშვილი, რომელიც ორი წელი ჩემთან მსახურობდა და არაერთგზის უწამებიათ, ბევრ საგულისხმოს ისიც გეტყვით.

თენგიზ მიქაძე 4 აპრილი . ზემო ალვანი.

გია ბიწაძე, 19 წლის, ლაგოდეხის რ-ის სოფ. ყარსუბანიდან. მსახურობდა ასევე მოსკოვის ოლქში, ს/ნ N43021. ვითომ 29 აპრილს ჩამოვარდა მე-10 სართულიდან /დაახლოებით 30 მეტრი/. ოჯახმა შეტყობინება მხოლოდ სამი დღის შემდეგ მიიღო.
ოჯახს არ სჯერა, რომ ბიჭი ჩამოვარდნით არის მკვდარი, რადგან ხერხემლის გა-დატეხვის შემთხვევაში, როგორც სამხედრო ნაწილში არწმუნებიან, გია ვერ ივლი-და ფეხზე, არადა დადიოდა. თან მიცვალებულს მაჯები ნაწვალები ჰქონდა და ყელ-ზეც ეტყობოდა ნაცემები. არამცთუ ექსპერტიზა, არამედ ტანსაცმელიც კი არ გაახ-დევინეს მიცვალებულისთვის ჭირისუფლებს, ისეთი სიმრე გვაქვს გვამისთვის გა-კეთებული, დაიმლებათ.
ერთიც არის: 30 მეტრიდან "გადმოვარდნილი" კაცი სულ ნაწილებად იქცეოდა, გია ბიწაძის გვამი კი ასეთ შთაბეჭდილებას არ ტოვებს.

---

დაუდასტურებელი მონაცემებით, 1988 წლის განმავლობაში 31 ქართველი ჯარისკაცი იქნა მოკლული რუსეთში.

მოთხოვნები

სსრკ და საქართველოს სსრ მთავრობისადმი, რომელთა შესრულების მოთხოვნით განაცხადა შიმშილობა ზვიად გამსახურდიამ ა.წ. 11 მარტიდან, რომელსაც მომავალში შეუერთდებიან სხვებიც.

1. გაუქმება ტრანსკავკასიის /კავკასიონის საუღელტეხილო რკინიგზის/ პროექტისა, მშენებლობის აკრძალვა. პრესაში ცნობის გამოქვეყნება სსრკ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 17 მაისის N 468 დადგენილების გაუქმების შესახებ, რომლის საფუძველზე დაიწყო მშენებლობა.

2. გაუქმება მინაძე-ჰესის, ხუდონ-ჰესის, ტობარ-ჰესის, მესტია-ჰესის პროექტებისა. მათი მშენებლობის აკრძალვა. პრესაში ამის შესახებ ოფიციალური ცნობის გამოქვეყნება.

3. ანტიქართული პოლიტიკის შეწყვეტა ე.წ. "აფხაზეთის ასსრ-ში", ქართველთა დევნისა და დისკრიმინაციის შეწყვეტა. მათ წერილებსა და პეტიციებში წარმოდგენილი კონკრეტული მოთხოვნების დაკმაყოფილება, მათი უფლებების უზრუნველყოფა. ბ. კაკუბავას განთავისუფლება.

4. სამხრეთ საქართველოში / მესხეთ-ჯავახეთში / სასაზღვრო ზონის შემცირება, სასაზღვრო შლაგბაუმის გადატანა აწყურიდან ვარძიის ზემოთ.

5. 1944 წელს შუა აზიაში გასახლებულ მესხთა რეპატრიაციისათვის ხელის შეწყობა. მათთვის ნამდვილი გვარებისა და ქართული ეროვნების აღდგენა პასპორტებში.

6. საინგილოში ანტიქართული და ანტიქრისტიანული პოლიტიკის შეწყვეტა აზერბაიჯანელ ხელისუფალთა მხრივ. საინგილოში ქ. კახში, ქართველთა მიწებზე ყარაბაღელ აზერბაიჯანელთა ჩასახლების შეწყვეტა. / უკვე 120-მდე მრავალშვილიანი ოჯახია ჩასახლებული /.

7. მარნეულის შესახებ ქართველი ინტელიგენციის პეტიციის მოთხოვნათა დაკმაყოფილება. ამ მხარის / ქვემო ქართლის/ აზერბაიჯანიზაციის შეწყვეტა, ქართული მოსახლეობის უფლებების აღდგენა.

8. ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის პრაქტიკულად აღდგენა საქართველოში. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 75-ე მუხლის შესრულება. ქართულ სკოლებში საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის სრულფასოვანი სწავლების აღდგენა ნიშნის ატესტატში შეტანით.

9. სამხედრო ძალით კულტურის ძეგლთა განადგურების შეწყვეტა. საარტილერიო პოლიგონის რეალური და არა მოჩვენებითი გადატანა დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიიდან. გელათისა და სხვა შუასაუკუნეობრივი ძეგლების სამხედრო ზებგერითი თვითმფრინავებით დაზიანების შეწყვეტა. კულტურის ძეგლებზე დაცვითი დაფების გაკეთება, განსაკუთრებით ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში. შაორის ხელოვნური ზღვის დაცლა და გაუქმება, რომელიც ჰაერის ტენიანობის მომატებით საფრთხეს უქმნის XIII საუკუნის ქართული არქიტექტურის მსოფლიოში ცნობილ ძეგლს ნიკორწმინდას.

10. ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის გაუქმება, რომელიც აბინძურებს შავ ზღვას.

11. თბილისის უნივერსიტეტში და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გაუქმებული ქართული ჯგუფების აღდგენა.

12. სახ. უშიშროების კომიტეტის მმართველობის გაუქმება საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიაში. მინისტრთა საბჭოს რელიგიის საქმეთა საბჭოში უშიშროების კომიტეტის წარმომადგენლის შტატის გაუქმება, რომელიც ფაქტიურად მართავს ეკლესიას// პატრიარქისა და სინოდის მაგიერ /. ეკლესიის თვითმმართველობის რეალურად აღდგენა, სახელმწიფოსაგან ეკლესიის რეალურად გამოყოფა. რელიგიის საქმეთა რესპუბლიკური საბჭოს შექმნა.

13. მეტეხსა და სხვა ტაძრებში თეატრებისა და საკონცერტო დარბაზების გაუქმება და მათი მოქმედ ეკლესიებად ქცევა.

14. გორის რაიონისათვის გადაცემა XII საუკუნის ქართული ტაძრის, იკორთისა, რომელიც ე.წ. "სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში" მდებარეობს. ოსური მოსახლეობა შეგნებულად აზიანებს /დანებით სერავს/ ფრესკებს, ხელს უშლის რესტავრატორებს მუშაობაში, იყო ერთ-ერთი მათგანის მძიმედ დაჭრის შემთხვევაც.

15. 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, თვით სოვეტიზაციის შემდეგაც კი, /სამი წლის განმავლობაში / ქართველი ხალხი ზეიმობდა ამ დღესასწაულს. 26 მაისის ოფიციალური სტატუსის აღდგენა.

16. ყოველ მოქალაქეს მიეცეს უფლება პრესაში მის შესახებ გამოქვეყნებულ ცილისმწამებლურ და შეურაცხმყოფელ წერილებზე იმავე გაზეთის ფურცლებზე პასუხის გაცემისა.

17. შეწყდეს დევნა, გადაადგილების შეზღუდვა და სხვა ადმინისტრაციული ღონისძიებები იმ პირების წინააღმდეგ, რომელნიც აყენებენ ზემოთ ჩამოთვლილ სამართლიან მოთხოვნებს.

18. შეწყდეს ანტიქართული საკადრო პოლიტიკა საქართველოში: საპასუხისმგებლო პოსტებზე და ნომენკლატურულ თანამდებობებზე დაინიშნონ ქართველები.

19. შეწყდეს არაქართველთა პრივილეგირება ბინებისა და სამუშაო ადგილების განაწილებისას.

20. აჭარაში, საინგილოში და სვანეთში გაიხსნას ქართული ეკლესიები.

21. გაუქმდეს გეგმა 20 ათასი აზერბაიჯანელის დამატებით ჩასახლებისა ქართლ-კახეთში.X

ჰელსინკის ხელშეკრულებისათვის ხელისშემწყობი ჯგუფი საქართველოში

X/ ზ. გამსახურდიამ იშიმშილა 27 დღე. შემდეგში შიმშილობა განაცხადეს: ზ. ჯანყარაშვილმა, ვ. მეხიშვილმა, ჟ. ძიძავამ, ვ. ხუხუნაიშვილმა, თ. გოცირიძემ, ვ. ჭანტურიამ, გ. მეღუამ, ი. ფავლენიშვილმა, მ. ხუდაშველიძემ. საპროტესტო შიმშილობა კვლავაც გრძელდება. /რედ. შენიშვნა/.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ ჩაისახა სამხრეთ ოსეთის სეპარატიზმი

/ერთი წერილის გამო სამხრეთ ოსების შესახებ /

გაზეთ "საბჭოთა ოსეთში" / N100, 1953 წ. 23 მაისი/ დაიბეჭდა წერილი სათაურით "ოსი ხალხის ისტორიის ტაძარი", რომელსაც ხელს აწერს ი. ანტონიევი.

წერილის ავტორი სტალინირში /ცხინვალში/ არსებულ მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, რომელიც 29 წლის წინათაა დაარსებული, "ოსი ხალხის ისტორიის შესანიშნავ ტაძარს" უწოდებს. წერილში მოხსენიებულია მუზეუმში ექსპონირებული ნივთები, აღნიშნულია ოსების წინსვლა ჩვენს დიდ ეპოქაში და გაკეთებულია დასკვნა: "დაათვალიერო სტალინირის სახელმწიფო მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ეს იმას ნიშნავს, რომ გაეცნო ოსი ხალხის ისტორიას".

ვინ არის ეს ოსი ხალხი? ჩრდილო ოსეთიდან დასახელებულ მუზეუმში წარმოდგენილი არაფერია; სამხრეთ ოსების კი მხოლოდ უკანასკნელი წლების ცხოვრების მოგიერთი ნიმუშია გამოფენილი /ექსპოზიციის სხვა ყველა ექსპონატი კი ქართულია/. მაშასადამე, აქ საუბარია მხოლოდ სამხრეთ ოსებზე. აღნიშნული სტატიით სამხრეთის ოსი ხალხი მოწყვეტილია ისტორიულ სინამდვილეს, — იმ ქართულ გარემოს, რომელშიც იგი ვითარდებოდა. წერილში ერთხელაც არ არის ნახსენები საქართველო და ქართველი ხალხი, ერთხელაც არ არის აღნიშნული, რომ დასახელებულ მუზეუმში თავმოყრილი უძველესი ისტორიული ექსპონატები, როგორც ეს ზუსტადაა დადგენილი და მიღებულია საბჭოთა მეცნიერებაში, განეკუთვნებიან საქართველოს ისტორიის ქვის, ბრინჯაოსა და რკინის ეპოქებს!

ყველაფერი ესეც კი ოსურადაა გამოცხადებული!

ისტორიის ამგვარი გაყალბება შეიძლება?!

ვინ არის ეს ი. ანტონიევი, რომ იმ ტოკარსკის როლში გვევლინება, რომელიც განსვენებულმა აკად. ს. ჯანაშიამ ამხილა! და თუ ასეთი ყალთაბანდი აღმოჩნდა, რომელიც ქართულ ისტორიულ ძეგლებს სხვებს მიაწერს, მეგობრულ ქართულ და ოსურ ურთიერთობას ჩრდილს აყენებს, გაზეთ "საბჭოთა ოსეთის" რედაქციას როგორ მოუვიდა, რომ ყალთაბანდის ბოროტმზრახვებს გზა მისცა!

ქართველი ხალხი მოკრძალებითა და პატივისცემით ეკიდება სამხრეთსა და ასევე ჩრდილო ოსებსაც. მართლაც, დიდი ილია ჭავჭავაძის თქმისა არ იყოს, კაცი თავისი ერის მტერი უნდა იყოს, რომ მეზობელი ხალხის უკმაყოფილება დაიმსახუროს. ჩვენ ოსებს პატივს ვცემთ, მაგრამ ამით ქართველების დაცინვების ნებას არავის მივცემთ!

სამხრეთ ოსების ისტორიის მოწყვეტა როგორ შეიძლება ქართველების ისტორიიდან, როდესაც კარგადაა ცნობილი თუ რა დროიდან ცხოვრობდნენ ოსები საქართველოში, როგორ მფარველობდნენ მათ ქართველები. ლიახვის ხეობა მთლიანად XVIII საუკუნეშიც კი ქართველ მეფეებს ეკუთვნოდა. ვახტანგ VI, რომელიც ცხოვრობდა კიდეც ამ ხეობაში, ხეობას "თავის სამკვიდროს", "თავის მამულს" უწოდებს /იხ. ქვემოთ დასახელებული დოც. ი. მეგრელიძის ნაშრომი გვ. 69 /. ერეკლე II უკრძალავს მის ვასალ მაჩაბელს ამ ხეობაში ოსები შეავიწროვოს. ერეკლეს ქვრივი, დედოფალი დარეჯან დადიანიც კი გულისხმიერი ყოფილა ოსთადმი.

ოსთა წარსულისა და ოსური ენის მკვლევარნი ჯერ კიდევ მილერი, შემდეგ აკად. გ. ახვლედიანი, ცნობილი ოსი პროფესორი ვ. აბაევი და სხვები აღნიშნავენ, რომ სამხრეთ ოსების მთელი რიგი ეთნოგრაფიული და ენობრივი თავისებურებანი მხოლოდ ქართველებთან ცხოვრებითა და ქართული ენით აიხსნება.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ზოგიერთი ქართული ისტორიული ძეგლებისა და ქართულ-ოსური ურთიერთობის შესახებ უახლესი დოც. ი. მეგრელიძის გამოკვლევა "ცხალიწიწისა და ზემონიქოზის სიძველეები" /სტალინირი, 1952 წ. / საკითხის სწორ მიმოხილვას წარმოადგენს. ჩვენ აღნიშნული ურთიერთობის ამ ისტორიაზე აღარ შევჩერდებით. ავტორი სამხრეთ ოსებს სათანადო მოკრძალებით ეკიდება და ისტორიულ სინამდვილიდან აკეთებს მართებულ დასკვნას, რომ დიდი ლიახვის მთიან ადგილებში ოსები XIX საუკუნემდეც ცხოვრობდნენ, ხოლო "ცხალიწიწის ოსური მოსახლეობა უმთავრესად სამხრეთ ოსთაგან გაიზარდა და ისიც მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების მზრუნველობითა და ხელისშეწყობით" /გვ. 9/. "ქართველებსა და სამხრეთ ოსებს შორის წინანდელმა ეკონომიურმა და კულტურულმა ურთიერთობამ,... ცხოვრების საერთო ინტერესებმა, ამ ორ ხალხს შორის ურთიერთისადმი ნდობისა და მხარდაჭერის მტკიცე ტრადიციები შექმნეს". / გვ. 12/. ამიტომ ოსები არ უსმენდნენ ანტონეცის მსგავს ბოროტმზრახველებს და თავიანთ ბედს ქართველთა ბედს უკავშირებდნენ. ეს გამოხატავს იმ ისტორიულ სინამდვილეს, რომლითაც სამხრეთი ოსები ქართველებს უფრო და უფრო უახლოვდებოდნენ და უახლოვდებიან. ვიღაც ანტონეცი კი მათი ურთიერთობის გაყალბებას ცდილობს და გაზ. "საბჭოთა ოსეთი" ამ სიყალბეს ბეჭდავს!?

ი. მეგრელიძე

---

რედაქციისაგან:

სადღეისოდ ვითარება სამხრეთ ოსეთში უფრო მეტად გაუარესდა. ძალადობა ოსთა პრივილეგირება ქართულ მიწაზე, ქართველთა დისკრიმინაცია და შემცირება, ოსეთის ისტორიის ფალსიფიკაცია საქართველოს საზიანოდ.

1988 წლის 17 აპრილს ქ. ცხინვალში დაიწყო მასობრივი დემონსტრაციები, რომელთა ძირითადი მიზანი იყო საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება და სანაკოევის მოხსნა საოლქო კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან, მაგრამ ამავე დროს დემონსტრაციაზე იყო ლოზუნგები სამხრეთ ოსეთის ჩრდილოეთთან შეერთების მოთხოვნით.

აი, როგორ განვითარდა ოსური სეპარატიზმი დღეს და რა შედეგები მოიტანა უძველესი ქართული მიწაწყლის "გაჩუქებამ" 20-ან წლებში.

## ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დისკრიმინაცია

ჩვენი საუკუნის 70-იანი წლებიდან დასავლეთის პრესაში ბევრი იწერებოდა და იწერება ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მძიმე და არასახარბიელო მდგომარეობის შესახებ. დღესდღეობით, მიუხედავად მორწმუნეთა და სასულიერო პირთა მრავალრიცხოვანი პროტესტებისა, არ ჩანს რამდენადმე საგრძნობი გაუმჯობესება ამ მდგომარეობისა, თუმც უკანასკნელ ხანებში ხელისუფლება წავიდა მთელ რიგ დათმობებზე და ცდილობს ისე წარმოსახოს საქმე, თითქოს ქართული ეკლესია არნახულ აღორძინებას განიცდის და ყოველმხრივ ხელშეუხებელია. სინამდვილეში კი მაინც გრძელდება დისკრიმინაცია და შეზღუდვა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის უფლებებისა, რომელსაც არ გააჩნია თვით ისეთი ელემენტარული უფლებებიც კი, რომლითაც სარგებლობენ ეკლესიები სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში. დავიწყოთ იმით, რომ ქართული ენა ხშირად იგნორირებულია ღვთისმსახურებისას, განსაკუთრებით პერიფერიებში. საქართველოს ისეთ მსხვილ ქალაქებში, როგორიცაა სოხუმი, ბათუმი, ფოთი, გაგრა, წირვა-ლოცვა რუსულად მიმდინარეობს, თანაც აშკარაა, რომ სწორედ საერო ხელისუფალნი არ რთავენ ნებას სამღვდელოებას, რათა ამ ეპარქიებში სრულდებოდეს ღვთისმსახურება და გალობა ქართულ ენაზე. იგივე მდგომარეობაა ზოგიერთ სხვა რაიონებშიც.

საქართველოს ეკლესიას წართმეული აქვს უფლება იქონიოს საკუთარი გამომცემლობა და ტიპოგრაფია, რის შედეგადაც მისი პუბლიკაციები უაღრესად შეზღუდულია. საეკლესიო ბუკლეტი "ჯვარი ვაზისა" წელიწადში ორჯერ გამოდის, ხოლო "საღვთისმეტყველო კრებულის" ტირაჟი უაღრესად შეზღუდულია / 100-მდე ცალი /, გარდა ამისა ეს კრებული განკუთვნილია მხოლოდ სამსახურებრივი სარგებლობისათვის და იგი ჩვეულებრივ მორწმუნეთათვის მიუწვდომელია. თანაც ყველა ზემოხსენებული გამოცემები გადიან უმკაცრეს ცენზურას მინისტრთა საბჭოს რელიგიის საქმეთა საბჭოსას /სინამდვილეში სახ. უშიშროების კომიტეტისას/. ცენზურას ექვემდებარება აგრეთვე სასულიერო პირთა ზეპირი ქადაგებანი, ხოლო ის სასულიერო პირნი, რომელნიც არ ემორჩილებიან ამგვარ ცენზურას, დათხოვნილნი არიან ეკლესიიდან. მართალია მათ არ ართმევენ სამღვდელო ხარისხს, მაგრამ ართმევენ ეკლესიაში მსახურების უფლებას, ან აიძულებენ თავადვე დატოვონ სამსახური. ყოველნაირად შევიწროებულია საქართველოს ერთერთი საუკეთესო მქადაგებელი მღვდელი არჩილი /მინდიაშვილი/. იგი დათხოვილ იქნა დიდუბის ეკლესიიდან, გადაყვანილ იქნა გორის ეკლესიაში ყარაულად, ხოლო ამჟამად პეტრე-პავლეს სასაფლაოს მცირე ეკლესიაშია გამწესებული რიგით მოძღვრად. საიდუმლოებითაა მოცული მკვლელობა ერთერთი ასეთი დამოუკიდებელი მქადაგებლისა, დიაკონ გიორგი /გია/ მარჩაბელისა, 1987 წელს გორში უცნობი პირების მიერ მოკლულ იქნა ახალგაზრდა დიაკონი იოანე, ხოლო სოხუმში ამავე წელს დიაკონ პაატა /ქორჩილავას/ მკვლელობის გარემოებები დღემდე "ვერ გაურკვევია" გამომძიებას, ისევე როგორც 1981 წელს გაგრაში მოკლულ მღვდლის გიორგის /შათირიშვილისა/. სამღვდელოებას საწინააღმდეგო ტერორის გამოვლინება იყო ისიც, რომ დამოუკიდებელი მღვდელი თეოდორე /ჩიხლაძე/ თვითმფრინავის გატაცების საქმეში მონაწილეობის ყალბი ბრალდებით გასამართლებულ იქნა 1984 წელს და მიესაჯა დახვრეტა. ეკლესიიდან დათხოვნილ იქნა 75 წლის მიტროპოლიტი შიო, რომელიც ამხელდა კორუფციას და ამორალიზმს ზოგიერთი სამღვდელო პირისას, რომელნიც სარგებლობდნენ

სარ. უშიშროების კომიტეტის ფარული მხარდაჭერით /თუმც ამ მხილების შემდეგ ხელისუფლება იძულებული გახდა ზოგიერთი მათგანის გაეძევებინა ეკლესიიდან, სკანდალის თავიდან აცილების მიზნით/.

სარ. უშიშროების კომიტეტი ყოველნაირად სდევნის და ავიწროებს შესანიშნავ მქადაგებელს, იპოდიაკონ გოჩა აბულაძეს, ყოფილ პოლიტპატიმარს, ამას წინად მარგვეთ ეპისკოპოსს ქრისტეფორეს ზესტაფონში დაურეკა უშიშროების კომიტეტის წარმომადგენელმა და სასტიკად აუკრძალა მისი მღვდლად კურთხევა. ცრუ მოძღვრებს, მაჩამთავლებს, ქვამაყამბაკებს და ანაფორიან აგენტებს კი ყოველი გზა და ასპარეზი ხსნილი აქვთ. ასე რომ სახელმწიფოს ჩაურევლობა ეკლესიის საქმეებში მტკნარი ფიქციაა, რომელიც მხოლოდ ქაღალდზე არსებობს. ყოველივე ამასთან ერთად, საქართველოს ეკლესიის უკიდურეს დისკრიმინაციაზე მიუთითებს შემდეგი ფაქტიც. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკლესია ავტოკეფალურია, ჩვენში არ არსებობს რელიგიის საქმეთა რესპუბლიკური საბჭო, და საეკლესიო საქმეებს განაგებს მოსკოვის რწმუნებული. სომხეთში, უკრაინასა და სხვა რესპუბლიკებში კი არსებობს რესპუბლიკური საბჭო, რომელიც ექვემდებარება ამ რესპუბლიკის მთავრობას. როდესაც საქართველოს რომელიმე სოფელში უნდა გადაწყდეს ეკლესიის გახსნა, ეს უნდა გადაწყვიტოს მოსკოვმა, ასევე სხვა საეკლესიო საქმეები. სომხეთსა და უკრაინაში კი ამას წყვეტს ადგილობრივი მთავრობა.

ეკლესიების უმრავლესობა საჭიროებს რემონტს. სამღვდელო პირთა ფეშენებელური აგარაკების /ე.წ. "რეზიდენციების"/ მშენებლობა ნებადართულია, ხოლო რემონტი და რესტავრაცია ისეთი უმნიშვნელოვანესი ტაძრებისა, როგორიცაა ალავერდი, მანგლისი, სვეტიცხოველი და სხვანი, ყოველმხრივ ფერხდება და ჭიანურდება, საეკლესიო თანხები მათ იშვიათად ხმარდება, არ ვით მოხმარდება, როდესაც საპატრიარქოს სალაროში ეკლესიის თანხა 50-60 ათას მანეთს მიაღწევს, ვიღაცის "უჩინარი" ხელი ფარულად ხსნის სეიფს და "იტაცებს" თანხას, როგორც მაგალითად ამას ადგილი ჰქონდა 1986 წლის ნოემბერში /"ქურდები" ჯერაც არ არიან გამოვლენილი მილიციის მიერ/. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ საპატრიარქოს თავად ჰყავს მილიციის დაცვა და იქ შეუძლებელია შეღწევა ჩვეულებრივი ბოროტმოქმედისათვის, საფიქრებელია, რომ ეს აქცია ფულადი სახსრების არაოფიციალურ კონფისკაციას უფრო ჩამოჰგავს, ვიდრე გაძარცვას. დღესდღეობით საქართველოს ეკლესიას ფაქტიურად განაგებს სარ. უშიშროების კომიტეტის წარმომადგენელი რელიგიის საქმეთა საბჭოში. იგი ხელმძღვანელობს მიმღებ კომისიას მცხეთის სასულიერო სემინარიის გამოცდებზე, ერევა პატრიარქისა და სინოდის ყოველგვარ საქმიანობაში და ფაქტიურად წარმართავს მას, ხოლო ამ უკანასკნელთ არ ხელეწიფებათ მის გარეშე რაიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება. დისკრიმინაცია და შეზღუდვა იქამდე მიდის, რომ საპატრიარქოს აკრძალა ბიბლიის ახალქართული თარგმანის ნაწყვეტების გამოქვეყნება საეკლესიო კალენდარში.

ხელისუფლება ხშირად ტენდა მორწმუნეთა სამართლიანი მოთხოვნების იგნორირებას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 16 მარტის ბრძანებულების მიხედვით, რელიგიური საზოგადოების რეგისტრაციისათვის და მოქმედი ეკლესიის გახსნისათვის საკმარისია 20 მორწმუნის ხელმოწერა /მორწმუნეთა ოცეული/, სხვადასხვა ქალაქებში, რაიონულ ცენტრებსა და სოფლებში უმა-

სუხოდ რჩება მორწმუნეთა მრავალრიცხოვანი მოთხოვნები ეკლესიების გახსნისა და რელიგიური საზოგადოებების რეგისტრაციის შესახებ. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მორწმუნენი ხელისუფლების ნებართვის გარეშე ხსნიან ეკლესიას, ადგილი აქვს მათ წინააღმდეგ ძალადობას და სხვადასხვა რეპრესიებს, როგორც მაგალითად ქ. ზუგდიდში, სადაც 1981 წელს მილიცია ფიზიკურად გაუსწორდა მართლმადიდებელ მორწმუნეებს, ტვინის შერყევამდე სცემა ზოგი მათგანი და დააკავა მღვდელი ალექსი /ჯალაღონია/ ცაიშის ღვთისმშობლის ეკლესიის გახსნის მცდელობისათვის. ქალაქებისა და რაიონული ცენტრების: ჭიათურის, ზესტაფონის, მესტიის, ბათუმის , ყვარელის, მახარაძის, აგრეთვე სოფლების: წყნეთის, გოდოგანის, სუჯუნის, შინდისის, წავკისის, კავთისხევის და სხვათა მოსახლეობა გამუდმებით მოითხოვს მოქმედი ეკლესიების გახსნას, შექმნილია ოცეულები, მორწმუნენი მიმართავენ წერილობით და სიტყვიერად სხვადასხვა ინსტანციებს, მაგრამ სავსებით უშედეგოდ. ზოგიერთ საზოგადოებებს დასამშვიდებლად აძლევენ ფიქტიურ ოფიციალურ "ნებართვებს" ეკლესიის გახსნისას, რომელიც პრაქტიკულად არ სრულდება. განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა ქალაქ კასპში, საინგილოში, რომელიც ამჟამად აზერბეიჯანის სსრ-ს ეკუთვნის. 11 ათასი მორწმუნე ქრისტიანი ამ მხარისა დღემდე ამაოდ მოითხოვს ეკლესიის გახსნას, მილიცია კრძალავს წმ. გიორგის დღესასწაულს, "ქურმუხობას", ხშირად აკავებს მღვდელს, გამუდმებით სდევნის მას.

უახლეს პერიოდში ჯერაც არ შეიმჩნევა რამდენადმე სასიკეთო ძვრები საქართველოს ეკლესიის ცხოვრებაში. როგორც ამას წინად განაცხადა კერძო საუბარში საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, გარდაქმნას და დემოკრატიზაციას აქ ჯერაც არ შემოუღწევია. ზემოხსენებული ფაქტებიდან გამომდინარე, მას შეიძლება სავსებით დავეთანხმოთ.

1988 წ.

ჰელსინკის ხელშეკრულებისათვის ხელისშემწყობი
ჯგუფი საქართველოში.

სკკპ ცკ გენერალურ მდივანს მ.ს.გორბაჩოვს,
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის
პირველ მდივანს, ჯ.პატიაშვილს

იმ დროს როდესაც რუსეთი ზეიმობს თავისი ნათლისღების 1000 წლისთავს, რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას უბრუნდება თავისი ეკლესია-მონასტრები, უმჯობესდება მათი მოვლა-პატრონობა და რესტავრაცია, საქართველოში კვლავ გრძელდება დისკრიმინაცია და იგნორირება ქართული ეკლესიისა, მორწმუნეთა სამართლიანი მოთხოვნებისა, ხოლო ცალკეულ რაიონებში გრძელდება ანტირელიგიური და ანტიქრისტიანული კამპანია. ბათუმის ხელისუფალნი ყოველნაირად ებრძვიან ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის გახსნის იდეას, მაშინ როდესაც იქ დიდი ხანია მოქმედებს ჯამე და რუსული ორი ეკლესია. მახარაძის რაიონში შემოქმედის ეკლესიის გახსნას ეწინააღმდეგება აღმასკომი და ყოველნაირად ემუქრება მორწმუნეებს, ლენტეხის რაიკომი ხელს უშლის მორწმუნეებს ეკლესიის გახსნაში, აბაშის რაიკომი კი უკრძალავს სოფ.სუჯუნის მორწმუნეებს ეკლესიის გახსნას, წმ.გიორგობის დღესასწაულის ჩატარებას და ა.შ. როდის უნდა განთავისუფლდნენ ეს ადამიანები ოცდაათიანი წლების ცრურწმენებისაგან?

უმთავრესი მონასტრები არა თუ არ უბრუნდება ჩვენს ეკლესიას, არამედ გრძელდება მათი ბარბაროსული განადგურება, მაგ.დავით გარეჯისა - არტილერიის ცეცხლით, გელათისა - ზებგერითი თვითმფრინავებით, ვარძიის წინააღმდეგ იგეგმება ახალი მავნებლობა - მინაძე-ჰესი მტკვარზე, რომელიც შეცვლის კლიმატს მოცემულ რეგიონში და ტენიანობის გაზრდით გამოიწვევს დაშლას ვარძიის კლდოვანი ქანებისას, "ნიკორწმინდას" საფრთხე ემუქრება შაორის წყალსაცავისაგან, შიო-მღვიმის უძველესი მონასტერი დღემდე პროფტექნიკური სასწავლებლის ხელშია, იქ დღემდე მოქმედებს პრიუტი, რომელიც დიდი შემოსავლის წყაროა მცხეთის რაიონის ზოგიერთი ოფიციალური პირისათვის, სოხუმში, ფოთში, ბათუმში არ არსებობს ქართული წირვა-ლოცვა, საინგილოში მიუხედავად 11 ათასი ქრისტიანი ქართველის მოთხოვნისა, მორწმუნეებს უარს ეუბნებიან ეკლესიის გახსნაზე.

საქართველოს ეკლესიის დისკრიმინაციაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ საქართველოს დღემდე არ გააჩნია რელიგიის საქმეთა რესპუბლიკური საბჭო, როგორც ამას ადგილი აქვს მაგ.სომხეთში და უკრაინაში, საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის საქმეებს განაგებს მოსკოვის რელიგიის საქმეთა საბჭო და

მისი რწმუნებული, რომელსაც მთავრობაც ჰყავს საბ.უშიშროების კომიტეტის ოფი-ციალური თანამშრომელი, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ რწმუნებულებიც მოსკოვის საბჭოს ექვემდებარებიან და არა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს. საქარ-თველოს საპატრიარქოს არ გააჩნია საკუთარი გამომცემლობა და ტიპოგრაფია /თუ-მცა სხვა რესპუბლიკების ეკლესიები სარგებლობენ ამ პრივილეგიით/, რის გა-მოც მისი პუბლიკაციები უკიდურესად შეზღუდულია. საქართველოს ეკლესიას არ გააჩნია საეკლესიო სასამართლო. 1928 წლიდან, გაუქმებულია საკათალიკოსო საბჭო, რაც ხელს უწყობს ეკლესიის უკიდურეს იზოლაციას საზოგადოებაში.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე მოვითხოვთ:

1. გაიხსნას ქართული მართლმადიდებლური ეკლესიები ბათუმში, მახარაძეში ლესციაში, კახში და სხვა რაიონებში, სოხუმსა და ფოთში აღდგეს ღმრთმსახუ-რება ქართულ ენაზე.

2. შეწყდეს საქართველოს მონასტრების შეგნებული გაპარტახება და განად-გურება, ბოლო მოეღოს ანტირელიგიურ ბარბაროსობას, გაუქმდეს წყალსაცავთა და სხვა ნაგებობათა პროექტები, რომელნიც საფრთხეს უქმნიან მათ.

3. საქართველოს ეკლესიას მიეცეს საკუთარი გამომცემლობა და ტიპოგრაფია.

4. აღდგეს საეკლესიო სასამართლო და საკათალიკოსო საბჭო.

5. მიეცეს საქართველოში მოქმედ მოსკოვის რელიგიის საქმეთა საბჭოს რეს-პუბლიკური საბჭოს სტატუსი და დაექვემდებაროს იგი საქართველოს სსრ მინისტ-რთა საბჭოს /როგორც სომხეთისა და უკრაინის საბჭოები/. შეწყდეს საბ.უშიშ-როების კომიტეტის ჩარევა საეკლესიო საქმეებში.

ზვიად გამსახურდია

მერაბ კოსტავა

1988. ივნისი

აჭარის საზოგადოება მოითხოვს ბათუმში
ქართული ეკლესიის გახსნას

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის
პირველ მდივანს ამხ. ჯ.ი.პატიაშვილს
საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომი-
ტეტის პირველ მდივანს ამხ. გ.ს.ემირიძეს

მოგახსენებთ, რომ ბოლო ხანს დღის წესრიგში დადგა ბათუმის კათოლიკური ეკლესიის შემდგომი ბედის საკითხი. საზოგადოების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ეკლესიას საკონცერტო ფუნქცია დაეკისროს...

ჩვენის აზრით, აუცილებელია, რომ კათოლიკური ეკლესია გადაეცეს სა-ქართველოს საპატრიარქოს. როგორც დიდი ილია ბრძანებდა - "ენა, მამული, სარწმუნოება". თუ სიმართლეს თვალებში ჩავხედავთ, ცხადი გახდება, რომ

ჩვენს საზოგადოებაში ათწლეულების განმავლობაში რელიგიისადმი უდიერი დამოკიდებულების მიუხედავად, მართლმადიდებელ ქრისტიანობას დღემდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, კვლავინდებურად ემსახურება მამულისა და მოყვასისადმი სიყვარულის მცნებას და ერის შინაგანი ერთიანობისათვის იღწვის. საქართველოს ისეთ კუთხეში, როგორიც ოსმალთა სამასწლოვანი უღლით მრავალტანჯული აჭარაა, სადაც ცეცხლითა და მახვილით ნერგავდნენ დამპყრობლები ადგილობრივ მკვიდრთათვის უცხო, ყოველგვარი ქართულისადმი მტრულად განწყობილ რელიგიას და ამით ცდილობდნენ სულიერადაც მოეწყვიტათ ეს მხარე დანარჩენი საქართველოსაგან, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ხელახლა გაცხოველდა ინტერესი და მისწრაფება ქრისტიანობისადმი. ბევრი ახალგაზრდა აჭარელი ინათლება ქრისტიანულად, არა მარტო რელიგიური შეხედულების გამო, არამედ იმიტომაც, რომ სიმბოლურად კიდევ ერთხელ უფრო მტკიცედ შეეკრან და შეერწყან დედასამშობლოს - საქართველოს. ამრიგად, კათოლიკური ეკლესიის საპატრიარქოსთვის გადაცემა დიდი ეროვნული საქმეა. ადრე თუ გვიან ეს მაინც მოხდება, - სჯობს ადრე, ვიდრე გვიან! მით უფრო, როცა ბათუმში ორი მართლმადიდებლური ეკლესიაა და ორივეში წირვა-ლოცვა რუსულად სრულდება.

თუ ეკლესიის შენობა საქართველოს საპატრიარქოს გადაეცემა, ბათუმში გვექნება საქართველოს სულიერი ერთიანობის შესანიშნავი ცენტრი, სადაც ქართული წირვა-ლოცვა, უძველესი ქართული საგალობლები აღანთებენ მსმენელთა გულებში სულიერ სიწმინდესა და მამულის სიყვარულს. ისინი, ვინც კათოლიკური ეკლესიის შენობის საკონცერტო დარბაზად გადაქცევას ლამობენ და თავის განაზრახს კულტურტრეგერობით ხსნიან, ნუთუ ფიქრობენ, რომ რელიგია არ არის ეროვნული კულტურის ნაწილი და საკონცერტო დარბაზში მოსმენილ მუსიკაზე უფრო ნაკლებად აფაქიზებს ადამიანის სულს დახვეწილი, საუკუნეების ლაბირინთებიდან გამოღწეული ქართული საგალობლები, რომლებშიც ქართველი ერის უდიდესი მუსიკალური გენიაა ჩაქსოვილი.

დღეს მკვეთრად შეიცვალა დამოკიდებულება რელიგიის მიმართ. საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას დაუბრუნდა მეტეხის, ანჩისხატის, დმანისის, ბოლნისის, გელათის, მარტვილის და სხვა ტაძრები.

იმედი გვაქვს ჩვენს კანონიერ მოთხოვნას დააკმაყოფილებთ.

7 ივნისი, 1988 წელი. ქ.ბათუმი

1.ვ.ღლონტი /პოეტი/, 2.ჯ.ძნელაძე /მხატვარი/, 3.თ.დიასამიძე /მხატვარი/, 4.ო.ქერქაძე /მეთოდისტი/, 5.რ.ჩინჩალაძე /მხატვარი/, 6.ბ.კუპრეიშვილი /მსახიობი/, 7.ბ.თევზაძე /პოეტი/, 8.გ.ჩაველიშვილი /ინჟინერი/, 9.ა.ჯაველიძე /ისტორიკოსი/, 19.რ.ჩაველიშვილი /ისტორიკოსი/, 11.ლ.გრიგოლია /ბიოლოგი/, 12.ქ.ვაჩეიშვილი /მხატვარი/, 13.ყურაშვილი /ინჟინერი/, 14.ბ.ინწკირველი /მსახიობი/, 15.ვ.შელია /მხატვარი/, 16.გ.ნასალკინი /სოციოლოგი/, 17.ც.თავამიშვილი /არქეოლოგი/, 18.ლ.ბერძენიშვილი /ისტორიკოსი/, 19.რ.გელავა /მუსი-

კისმეტოლენე/, 20. მ. იმნაძე/რეჟისორი/, 21. ნ. ნიჟარაძე/მხატვარი/, 22. ე. გიორგობიანი /ისტორიკოსი/, 23. გ. ხეჩინაშვილი /მსახიობი/, 24. ნ. მჟავანაძე /პედაგოგი/, 25. თ. ჭყონია /პედაგოგი/, 26. ბ. აფხაზავა /მეცნიერ მუშაკი/, 27. ტოტოჩავა /ფილოლოგი/, 28. ლ. ლომთათიძე /ლექტორი-მასწ./, 29. ჯ. ხიმშიაშვილი /მხატვარი/, 30. შ. ხაჯიშვილი /პოეტი/.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ო. ჩერქეზიას
ქ. ბათუმში მცხოვრებ ქართველ
მართლმადიდებელ ქრისტიანეთა

## თ ხ ო ვ ნ ა

ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, ვართ მართლმადიდებელნი ქრისტიანები. მცხოვრებნი აჭარის ასსრ-ში. წირვა ლოცვისათვის დავდივართ ბათუმის ეკლესიებში, სადაც წირვა-ლოცვა ტარდება ჩვენთვის გაუგებარ ძველ სლავურ ენაზე.

გთხოვთ, გაგვაფორმოთ რეგისტრაციაში და ქართული წირვა ლოცვისათვის გადმოგვეცეთ ჩვენი წინაპრების მიერ აშენებული ამჟამად უმოქმედო, ბათუმის ღვთისმშობლის ეკლესია. /კალინინის 25./

ცდა იმის შესახებ, რომ გადააკეთონ ერთ-ერთი ეკლესია ქართულად, რუსსა და ქართველ მლოცველთა შორის დიდ უსიამოვნებას გამოიწვევს.

1. ტრაპაიძე ლილა 2. მანჩხავა ჭიშო 3. პაპავა ზაური 4. თადუმაძე მარგალიტა 5. ლალაძე ჯემალი 6. მოლქვაძე თემური. 7. ადამია ანატოლი 8. ნიკოლაიშვილი ამბროსი 9. ონიაძე ზეინაბი 10. ფერაძე ქორა 11. იმნაძე ნოდარი 12. ფილიპაშვილი რუსუდან 13. გვენეტაძე გულიკო 14. ხითაიშვილი ელენე 15. აჩჩია ლამარა 16. ხოჯაბიძე თამარი 17. ფუტკარაძე გურამი 18. გოგეშვილი მაგდა 19. კურკაძე ბადრი 20. ჯეირანაშვილი გიორგი 21. ძნელაძე ლევანი 22. გუბელაძე მარგალიტა 23. შანიძე ნათელა 24. გორდელაძე ოლია 25. მესტავაშვილი თინა 26. მესხორაძე ავთანდილ 27. ანდღლაძე ნათელა 28. ნაუმოვი არსენი 29. ქავთარაძე ძაბული 30. კორძაია ნინო 31. ჟღენტი ავთანდილი 32. კარიძე დალი 33. ნაგერგაძე რუსუდან 34. წვერავა ანიკო 35 მურვანიძე შალვა 36. ნაუმოვა ნინო 37. ჩხიკვაძე ლამარა 38. აბშილავა ვაჟა 40. ქურტაძე ამირან 41. წიტაიშვილი დინიზა 42. მეუნარგია თამარა, ბეჟანიძე ნერიმან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## სიკვდილმისჯილი ძეგლები

/ ქართული კულტურის ძეგლთა მდგომარეობა /

ქართული არქიტექტურული და ფერწერული ხელოვნების შედევრებს უდიდესი საფრთხე ემუქრება თანამედროვე ეპოქაში. ინდუსტრიალიზაცია და ურბანიზაცია საქართველოს სსრ-ში, ეკოლოგიური ცვლილებანი, აგრეთვე ქვეყნის გადაქცევა ერთ მთლიან სამხედრო პოლიგონად საფრთხეს უქმნის ჩვენი ქვეყნის უძველეს კულტურას.

დავიწყოთ იმით, რომ სიძველეებისათვის ძალზე საშიშია სამხედრო მანევრები, რომელნიც გამუდმებით მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე. ძველი ტაძრებისა და ციხეების უმრავლესობა დიდ საფრთხეშია ზებგერითი თვითმფრინავებისაგან. ზიანდება მსოფლიოში უნიკალური გელათის მოზაიკა, ღვთისმშობლისა და მთავარანგელოზის გამოსახულებით. ზებგერითი თვითმფრინავები, იმის იმიტაციისას, გადალახავენ რა ხმოვან ბარიერს ძალზე დაბლა /რაც ოფიციალურად აკრძალულია/, იწვევენ მიწისძვრის მსგავს ბიძგებს. ამ სისტემატური, ხელოვნური მიწისძვრების შედეგად ძველი ტაძრების კედლები სკდება და იბზარება, ფრესკები იფშვნება და ცვივა, რასაც ვერ შველის ფრესკის გასამაგრებელი სარესტავრაციო სამუშაოები. საქართველოს სსრ                ძეგლთა დაცვის სამმართველო უძლურია ამ მოვლენის წინაშე. ასევე ზიანდება უფლისციხე, იყალთო, ალავერდი და მრავალი სხვა ძეგლი.

კლდეში გამოკვეთილი უნიკალური სამონასტრო კომპლექსის, დავით გარეჯას ტერიტორიაზე უკვე მრავალი წელია მოქმედებს საარტილერიო პოლიგონი. შუასაუკუნოებრივი ფრესკებით მორთულ გამოქვაბულებს მანევრებისას იყენებენ სამიზნეებისათვის, მთლიანად განადგურებულია ნათლისმცემლის მონასტერი, ნაწილობრივ განადგურდა ბერთუბანი და ლავრა. ჭურვების აფეთქება იწვევს ბზარებს გამოქვაბულებში, ფრესკები ზიანდება და ცვივა. საზოგადოების მრავალრიცხოვანი პროტესტების შედეგად სსრკ თავდაცვის სამინისტრო იძულებული გახდა ა.წ. ივნისში გამოეტანა დადგენილება პოლიგონის გადატანის შესახებ, მაგრამ ეს დადგენილება ფიქტიური აღმოჩნდა, როგორც სხვა მრავალი დადგენილება ჩვენს ქვეყანაში. ა.წ. სექტემბრის მიწურულში დავით-გარეჯის ტერიტორიაზე კვლავ გაიმართა უპრეცედენტო მასშტაბის მანევრები, პოლიგონის გადატანაზე არავის არც უფიქრია, პირიქით, კიდევ უფრო გააძლიერეს მონასტრის ნგრევა, ხოლო ჯარისკაცები ახალ-ახალ გვარებს აჯღაბნიდნენ ფრესკებზე. დავით გარეჯის ტერიტორია 2 კვირის განმავლობაში ჩაკეტილი იყო. "დადგენილება" კვლავ ქაღალდზე დარჩა, როგორც ჩანს, იგი კულტურის ძეგლის წინააღმდეგ ამ არნახული დანაშაულის შესანიღბავად გამოიტანეს.

საერთოდ, საქართველოს სხვა რაიონებშიც ხშირია სამხედროების მიერ ძველი ტაძრების განადგურებისა და დაზიანების შემთხვევები, რაც გა-

ფიქრებინებს, რომ სამხედრო უწყებას უნდა ჰქონდეს საიდუმლო ინსტრუქცია ქართული კულტურის ძეგლთა განადგურების შესახებ. ასე მაგალითად, [illegible] რიწყაროს რ-ნის სოფ. ამღივის სამების ეკლესია /შუა საუკუნეებისა/ საკმაოდ უჩვეულო მეთოდით დაანგრიეს სამხედროებმა. მის გუმბათს მოაბეს ტროსი და დიდი სატვირთო მანქანით მოგლიჯეს; შემდეგ გუმბათი სადღაც წაიღეს, და გაუჩინარდნენ, რის შედეგადაც ეკლესია დღემდე ვერ აღუდგენიათ. ძეგლთა დაცვის სამმართველომ არავითარი ზომები არ მიიღო დამნაშავეთა გამოსააშკარავებლად. ასევე დაანგრიეს ქსნის ციხე არტილერიით 40-იან წლებში სამხედროებმა.

მცხეთის რაიონში, შიო მღვიმის გზაზე მდებარე გიორგი კალოუბნელის ეკლესიის /XII ს./ უნიკალურ შუასაუკუნოებრივ ფრესკებს სისტემატურად აზიანებენ სამხედროები, რომლებიც იქვე მახლობლად არიან დაბანაკებულნი. ისინი სისტემატურად აწერენ ფრესკებზე მსხვილი წითელი ასოებით თავიანთ სახელებს, გვარებსა და მისამართებს. არც ძეგლთა დაცვის სამმართველოს, არც მცხეთის რ-ნის კულტგანყოფილებას არ მიუღიათ მათ წინააღმდეგ არავითარი ზომები, რაც გვაფიქრებინებს, რომ ყოველივე წინასწარ გათვალისწინებულია და შეთანხმებული სადაც ჯერ არს.

კულტურის ძეგლებისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენენ ჰიდროელექტროსადგურები და ხელოვნური წყალსაცავები. ისინი ზრდიან ჰაერის ტენიანობას, იწვევენ კლიმატურ ცვლილებებს, რაც ძალზე უარყოფითად მოქმედებს ძეგლებზე. ქართული ხუროთმოძღვრების ერთერთი უმთავრესი ძეგლის, წ. ნიკოლოზის ტაძრის, "ნიკორწმინდის" /XII ს./ მახლობლად მდებარეობს შაორის ხელოვნური ზღვა, რამდენიმე კილომეტრის სივრცისა. სპეციალისტების საერთო აზრით, წყალსაცავს არავითარი სარგებლობა არ მოაქვს სახალხო მეურნეობისათვის, მის მიერ მიყენებული ზარალი კი განუზომელია, ვინაიდან იგი იწვევს ტენიანობის გაზრდას, ნალექიანობის მომატებას, მან სავსებით დაღუპა სოფლის მეურნეობა რაიონისა, აღარ მწიფდება "ცვანჭკარას" ჯიშის ცნობილი ყურძენი და სხვა ხილი, მასვე უკავშირებენ დიდთოვლობას, რამაც ესოდენ დიდი უბედურება მოუტანა რაჭას 1987 წლის ზამთარში. ტენიანობის გაზრდის შედეგად "ნიკორწმინდის" ქვებს დაემართა სოკოვანი დაავადება, ჩუქურთმები, რომლითაც უხვადაა გაფორმებული ტაძარი, იშლება და ცვივა, ზიანდება ფრესკები ტაძრის შიგნით. ამბროლაურის რაიკომმა რამდენიმე წერილი გაუგზავნა სხვადასხვა სამთავრობო ინსტანციებს, სადაც მოითხოვს შაორის წყალსაცავის დაცლას /რა თქმა უნდა სოფლის მეურნეობის ინტერესებიდან გამომდინარე/ მაგრამ ამაოდ, წყალსაცავი დღესაც არსებობს და არავინ აპირებს მის გაუქმებას, ვინაიდან როგორც ჩანს, აქაც ფარული შეთქმულებაა ძეგლის წინააღმდეგ, როგორც ჩანს, მასაც იგივე მისია აქვს, რაც დავით გარეჯის პოლიგონის ჭურვებს და გელათის თავზე მიმქროლავ ზებგერით თვითმფრინავებს. მსგავსადვე აზიანებს სვეტიცხოვლის "ზაჰესის" აშენების შედეგად დაგუბებული მტკვარი, თბილისის სიონს "ორთაჭალჰესი", ანანურს-"ჟინვალჰესი" და ა.შ. როგორც ვხედავთ, ყველგან ერთნაირი ხელწერაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მთის მშვენება-სვანეთი უკვე დიდი ხანია იზიდავს მთელი მსოფლიოს ხელოვნებათმცოდნეებს, როგორც უნიკალური ვეება მუზეუმი ცის ქვეშ. ყველასათვის ცნობილია თუ რა დიდ განსაცდელშია დღეს სვანეთი იმის შედეგად, რომ უკანასკნელ წლებში ამ რეგიონში მიმდინარეობდა მტაცებლური განადგურება ტყის საფარისა ენგურის ქაღალდის კომბინატის მოსამარაგებლად ნედლეულით, გარდა ამისა აშენდა მსოფლიოში უდიდესი კაშხალი "ენგურჰესი". ამ ორივე ფაქტორმა გამოიწვია ეკოლოგიური წონასწორობის მკვეთრი დარღვევა, რის შედეგადაც 1987 წლის ზამთარში სვანეთს თავს დაატყდა არნახული თოვლიანობა და ზვავები. დაიღუპა მრავალი ადამიანი, დაზიანდა მრავალი კულტურის ძეგლი. სვანეთში მოვიდა წითელი, ყავისფერი და ჭრელი თოვლი, გზების დაზიანებამ შეაფერხა ყოველგვარი სარესტავრაციო სამუშაოები, რაც ისედაც სუსტად მიმდინარეობდა სვანეთში. ჩაჟაშის ეკლესია, რომელშიც თავმოყრილია უნიკალური განძი /მსოფლიო მნიშვნელობის შუასაუკუნეობრივი ხატები/ კვლავ გადაუხურავი დარჩა, ვინაიდან ძეგლთა დაცვის სამინისტრომ თავის დროზე იგი არ გადახურა, ხოლო დღეს იმიზეზებენ გართულებულ საგზაო და კლიმატურ პირობებს. ჩაჟაშის განძი საქართველოს ხელოვნების მუზეუმის სეიფში დაცული განძის ტოლფასია, მისი დაღუპვა ნაციონალური ტრაგედია იქნება, თუმც ეს არავის აღარდებს დღეს. ასევე უპატრონობით იღუპება სვანეთში ადიშის წმ. გიორგის ეკლესია და სხვა მრავალი უმნიშვნელოვანესი ძეგლი, რომელთაც სიკვდილი მიუსაჯა ჩვენმა "უარესობა" საუკუნემ.

თუმც ყველაზე უფრო ტრაგიკული მოვლენები კვლავ წინ გვაქვს. როგორც ცნობილია, სამცხე-ჯავახეთი ძალზე მდიდარია კულტურის ძეგლებით, რომელთა შორის ცენტრალური ადგილი უჭირავს შუასაუკუნეობრივი ხელოვნების სასწაულს-ვარძიას, კლდეში გამოკვეთილ ქალაქ-მონასტერს. ვარძიის მახლობლად, მტკვარზე დაგეგმილია მშენებლობა ე.წ. "მინაძე-ჰესისა", წყალსაცავის სარკის სიგრძე 25 კილომეტრს მიაღწევს. იგი დაფარავს მრავალ სოფელს, მათ შორის დიდი რუსთაველის სამშობლოს რუსთავს /ეს იგივეა ინგლისში ვინმემ წყლით დაფაროს სტრეტფორდი, იტალიაში-ფლორენცია ან რუსეთში იასნაია-პოლიანა/. კლიმატური ცვლილებები, ამ წყალსაცავის დაგუბებით გამოწვეული, იმდენად კატასტროფიული იქნება, რომ ტენიანობისაგან თანდათანობით დაიშლება კლდე, რომელშიც გამოკვეთილია ვარძია, ასე რომ მსოფლიო მნიშვნელობის ამ ძეგლსაც სიკვდილი აქვს მისჯილი. ხოლო რა იქნება საქართველო ვარძიის გარეშე-იოლი წარმოსადგენია.

საზოგადოების აღშფოთება მინაძე-ჰესის აშენების გეგმით იმდენად დიდია, რომ გაზეთი "კომუნისტი" /1987 წ. 12 აგვისტო/ იძულებული გახდა დაეთმო ადგილი მესხეთის მკვიდრის, ფილოლოგ მ.ბერიძის წერილისათვის, სადაც იგი გვესაუბრება იმ საფრთხეზე, რომელსაც უქმნის ვარძიას ხსენებული წყალსაცავი კლიმატური და სხვა ამგვარი ცვლილებების შედეგად. აქ აღნიშნულია, რომ მეცნიერნი ვერ შეაჩერებენ კლდოვანი ქანების დაშლას, დიდი ტენიანობით გამოწვეულს. თუმც იმავე გაზეთში, მას "პასუხობს"

ენერგეტიკოსი ნ.ჭითანავა, რომელიც "უხსნის" მას, რომ "ქვეყანას სჭირდება ელექტროენერგია" /აქ ისიც საკითხავია, რომელ ქვეყანას სჭირდება, ჩვენსას თუ სხვისას/, რაც შეეხება ვარძიის საკითხს, მის შესახებ ავტორი კრინტსაც არ ძრავს, ვინაიდან როგორც ჩანს, არად მიაჩნია მისი განადგურება. და აი, ასეთ პიროვნებას უთმობს ტრიბუნას გაზეთი "კომუნისტი". 1986 წელს საქართველოში ოფიციალურად აღინიშნა ვარძიის 800 წლისთავი, რაც, როგორც ირკვევა ფარისევლური შენიღბვა იყო იმ ვერაგული გეგმისა, რომელიც მიზნად ისახავს კულტურის ამ უნიკალური ძეგლის განადგურებას.

აქ შეუძლებელია ჩამოთვლა ვანდალიზმის, ქართული კულტურის ძეგლთა შეგნებული განადგურების ყველა ფაქტისა რასაც ხშირად სჩადიან ისეთი ადამიანები, რომლებშიც აღმოფხვრილია რელიგიური და ეროვნული გრძნობა, ან არაქართული ეროვნების ადამიანები ქვენა-შოვინისტური ინსტინქტებიდან გამომდინარე. თუ საბერძნეთში ერთი ჰეროსტრატე იყო, საქართველოში მოქმედებს მთელი არმია ჰეროსტრატეთა, თანაც გვაოცებს ხელისუფლების სრული უმოქმედობა მათ წინაშე, წაყრუება ვანდალიზმის ფაქტებისა, და ზოგჯერ თვისი უმოქმედობით მათთვის ხელის შეწყობაც კი. ასე მაგალითად, ამას წინად იკორთის ტაძრის ფრესკების რესტავრაციაზე მომუშავე სპეციალისტებს თავს დაესხნენ ოსური ეროვნების ადგილობრივი მცხოვრებნი, ფრესკები ლანცეტებით დასერეს, რესტავრატორები დაჭრეს, ხელისუფლების ორგანოებს კი არავითარი ზომები არ მიუღიათ მათ წინააღმდეგ. აქედან ცხადი ხდება, თუ ვის მხარეზე არიან ისინი.

უკვე მრავალგზის აღინიშნა თუ რაოდენ დიდ საფრთხეს უქმნის არქეოლოგიურ და არქიტექტურულ ძეგლებს ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობა. უკვე განადგურებულია ნახტაკისის უძველესი ნაქალაქარის 25-მდე ობიექტი, ფშავში თამარის /ფუძის ანგელოზის/ სალოცავი /მის ადგილზე აშენდა საქვაბე/ და მრავალი სხვა. ასევე ნადგურდება კულტურის ძეგლები ჩეჩენო-ინგუშეთის ტერიტორიაზე. ორივე მხარეს განადგურდა ასობით ძეგლი.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან ნათელია, რომ ჩვენი კულტურის უმთავრეს და უმნიშვნელოვანეს ძეგლებს სიკვდილი აქვს მისჯილი, ისინი განწირულნი არიან საღუპოდ, მათი განადგურება გარდაუვალია მომავალში, თუ ყოველივე ასე გაგრძელდა. ხოლო ვის ან რად აწყობს საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლთა განადგურება, საამისო დასკვნების გამოტანა მკითხველისათვის მიგვინდვია.

1988 წ. ჰელსინკის ხელშეკრულებისათვის ხელისშემწყობი ჯგუფი საქართველოში.

## ზვიად გამსახურდია

### გამოვედი თუ არა მე ცენტრალური ტელევიზიით 1978 წლის მაისში?

ჩემი განთავისუფლების შემდეგ მრავალი ადამიანისგან მივიღე შეკითხვა, იმასთან დაკავშირებით, თუ რა იყო ნამდვილი მიზეზი ჩემი "გამოსვლისა" ცენტრალური ტელევიზიის "ვრემიას" პროგრამით 1978 წლის მაისში, იყო თუ არა ეს ნამდვილი ჩანაწერი, ხომ არ იყო მასში რაიმე ფალსიფიკაცია, როგორ მოხდა ეს ყოველივე: იძულებით თუ ნებაყოფლობით და ა. შ. მოცემულ წერილში შევეცდები პასუხის გაცემას ამ კითხვებზე.

როგორც ცნობილია, გამოძიების პროცესში მე, ტაქტიკური მოსაზრებით, ჩემს მიერ გამრავლებული და გავრცელებული რუსული ემიგრანტული მასალების ნაწილი ვცანი "ანტისაბჭოთად" და "მოვინანიე" მათი გავრცელება. თუმც ჩემი ძირითადი საქმიანობა, ეროვნული და სამართალ-დაცვითი ხასიათისა, ჩემი წერილები და განცხადებები, აგრეთვე ჰელსინკის ჯგუფის დოკუმენტები, არასოდეს მომინანიებია. პირუკუ, როგორც გამოძიებისას, ასევე სასამართლოზე მოვითხოვდი შესრულებას ჩემი ძირითადი მოთხოვნებისას ამ სფეროში. მე არასოდეს გამომიცხადებია აგრეთვე დაშლა ქართული ჰელსინკის ჯგუფისა, და მუდამ ვაწერდი ხელს წერილებსა და განცხადებებს ამ ჯგუფის სახელით. ყოველივე ამის შესახებ მოკლედ ნათქვამია ჩემს წერილში გაზეთ "პრავდის" რედაქციისადმი, რომელიც გამოქვეყნდა დასავლეთში 1980 წელს /გაზეთი "რუსკაია მისლ" /, აგრეთვე მერაბ კოსტავას განცხადებაში, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ "გლასნოსტში". აქ დავსძენ მხოლოდ, რომ ამგვარი ტაქტიკური ნაბიჯი გადავდგი საქართველოში იმჟამად შექმნილი განსაკუთრებული ვითარების გამო. რამდენადაც უშიშროების კომიტეტი არაორაზროვნად შემუქრებოდა საზღვარგარეთ გაძევებით, (მოუნანიებლობის შემთხვევაში) ჩვენს მოძრაობას, ჩვენს საერთო საქმეს ემუქრებოდა დიდი საფრთხე.

საქმე ის გახლავთ, რომ იმ ხანად გარეთ აღარ იყო დარჩენილი არცერთი ადამიანი, რომელიც შეძლებდა გადებას საინფორმაციო ხიდისას დასავლეთში, განახორციელებდა ჟურნალის გამოცემას, გონივრულად წარმართავდა არალეგალურ მოძრაობას, რომელსაც ამის გარეშე შეიძლებოდა გამოეღო ძალზე არასასურველი შედეგები. ყოველივე ამის თვალსაზრისით კი აუცილებელი იყო ჩემი გარეთ ყოფნა. ამის გამო, ჯერაც სუკ-ის შინაგან ციხეში ყოფნის დროს, გავუზიარე მერაბ კოსტავას ჩემი მოსაზრებები შექმნილი ვითარების შესახებ და მასაც მოეწონა ჩემი გეგმა ტაქტიკური უკანდახევისა, მოჩვენებითი "მონანიებისა", ჩვენი საერთო საქმის გადასარჩენად. ასე რომ სასამართლოზე მისი უკომპრომისო პოზიცია და ჩემი ნაწილობრივ კომპრომისული პოზიცია ჩვენ წინასწარ შევათანხმეთ ურთიერთშორის. ეს ყოველივე შესანიშნავად აისახა მ. კოსტავას ვრცელ ლექსში " ძმას ქრისტესმიერს" რომელიც მან მიძღვნა მე პატიმრობაში ყოფნისას, აგრეთვე მის განცხადებაში, რომელიც გამოქვეყნდა მისი განთავისუფლების შემდეგ /რომლის ტექსტიც აგრეთვე ციხეშია დაწერილი/.[x]

მიუხედავად იმისა, რომ გამოძიების პროცესში მე არავიზე არ მიმიცია ჩვენება, მხოლოდ ზოგჯერ ვადასტურებდი ან არ ვადასტურებდი სხვათა ჩვენებებს, მე ვიძლეოდი ახსნა-განმარტებას და დახასიათებას ჩემი საკუთარი ქმედებისას. გამოძიების დასასრულს, 1978 წლის მარტში, ერთერთი ჩემი დაკითხვა ჩაწერილ იქნა ვიდეომაგნიტოფონზე, გამომძიებლის თქმით, იმ მიზნით, რომ იგი ეჩვენებინათ სასამართლოზე ჩემს მიერ ჩვენების შეცვლის შემთხვევაში.

---

X/ ჩვენი შეხვედრები ხდებოდა დაპირისპირებისას, საქმის გაცნობისას, აგრეთვე სასამართლოს საკანში, პროცესის დაწყებამდე/ზ. გ./

ბიბლიოთეკა

თუმც ფრაგმენტი ამ ვიდეოჩანაწერისა, კონტექსტიდან ამოგლეჯილი, უჩვენეს "ვრემიას" პროგრამით, ჩემი ნებართვის გარეშე, როგორც ვითომდაც ჩემი "ინტერვიუ". /სასამართლოს შემდეგ/.

ელემენტარული ეთიკა მოითხოვდა, რომ ვიდეოჩანაწერი ეჩვენებინათ სრულად, მაშინ მაყურებელი მიხვდებოდა, რომ ეს იყო ჩემი დაკითხვა და არა ტელევიზიით გამოსვლა, საუბარი ერთ გამომძიებელთან და არა მრავალმილიონიან აუდიტორიასთან. გარდა ამისა, ფირზე უნდა გადაეღოთ სხვა დაკითხვებიც და ეჩვენებინათ, თუ რას ვგულისხმობდი მე "ანტისაბჭოთა მასალებში" და რას არა. უნდა ეჩვენებინათ აგრეთვე, რომ ჩემი ძირითადი საქმიანობა მე არ მონანიებია. ტელევიზიამ კი პირიქით, შექმნა ილუზია, თითქოს მე მთელი ჩემი საქმიანობა მოვინანიე და ხაზი გადავუსვი ყოველივეს, ჩემს მიერ ნამოქმედარს.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ დაკითხვის ვიდეოჩანაწერში მე ვახსენე მოსკოვში ამერიკის საელჩოს მეორე მდივანი ი. ბელოუსოვიჩი, რომელმაც გადმომცა მე დიდი რაოდენობით ემიგრანტული ლიტერატურა სასტუმრო "უკრაინასთან" 1976 წლის ივნისში, რის შემდეგაც მე დამაკავეს და წამართვეს ეს ლიტერატურა. ბელოუსოვიჩმა მისცა ახსნა-განმარტება სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს იმის შესახებ, რომ მე გადმომცა ეს ლიტერატურა, მაგრამ განაცხადა, რომ არ თვლის ამას დანაშაულად. მე დავადასტურე დაკითხვაზე მისი ახსნა-განმარტება, თუმც არც მე მითქვამს, რომ ამას ვცნობდი ჩემს ან მის დანაშაულად. ასე რომ ჩემს მიერ ი. ბელოუსოვიჩის სახელის ხსენება ვიდეოჩანაწერში არ წარმოადგენდა მასზე ცილისწამებას, ან მის გაშავებას. ეს იყო მხოლოდ კონსტატაცია ფაქტისა, რომლის კონტატაციაც მანამდე მოახდინა თვით ბელოუსოვიჩმაც.

გავიდა ერთი თვე ვიდეოჩანაწერის ტელევიზიით ჩვენების შემდეგ. მე და მ. კოსტავა კვლავ სუკ-ის შინაგან ციხეში ვიმყოფებოდით. ივნისის ბოლოს კვლავ გამომიძახა გამომძიებელმა და მაცნო: "ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტებმა ჰაროლდ პაიპერმა და კრეგ უიტნიმ დაწერეს თავიანთ გაზეთში, თითქოს თქვენ არაფერი მოგინანიებიათ და ტელევიზიის ფირი ყალბია. საბჭოთა ტელევიზიამ აღძრა მათ წინააღმდეგ სარჩელი ცილისწამებისათვის. ხომ არ მიიღებდით მონაწილეობას სასამართლოში მოწმის სახით?"

მე მოვითხოვე დრო მოსაფიქრებლად. ბოლოს დავასკვენი, რომ რამდენადაც სასამართლოზე იქნებოდნენ უცხოელი კორესპონდენტები, ჩემს მონაწილეობას ექნებოდა აზრი, ვინაიდან ისინი დამისვამდნენ კითხვებს და მე შევძლებდი მათთვის განმარტებას იმისას, თუ რა ვცანი სასამართლოზე ჩემს შეცდომად და რა არა და ამით გაიფანტებოდა გაუგებრობა, რომელიც გამოიწვია ჩემმა ე. წ. "ტელეინტერვიუმ", გამოვლინდებოდა აგრეთვე, რაში იყვნენ მართალნი პაიპერი და უიტნი და რა აკლდა მათ ინფორმაციას. მე კვლავ შევეთათბირე მ. კოსტავას ამ საკითხზე და ისიც მომხრე იყო იმისა, რომ მე მიმეღო მონაწილეობა მოცემულ პროცესში.X/ თუმც უნდა აღვნიშნო, რომ იმხანად ჩვენ კარგად არ ვიცნობდით საბჭოთა ტელევიზიის ხრიკებს, მონტაჟისა და ფალსიფიკაციის ხელოვნებას.

ამრიგად, 1978 წლის 18 ივნისს, მე წარვდექი მოსკოვის საქალაქო სასამართლოს წინაშე, მაგრამ რაოდენ დიდი იყო ჩემი განცვიფრება, როდესაც დავინახე, რომ "მოპასუხეთა", ე. ი. პაიპერისა და უიტნის სკამები თავისუფალი იყო, ვინაიდან ისინი არ გამოცხადდნენ სასამართლოზე და გაემგზავრნენ ამერიკის შეერთ-

---

X/ იმ შემთხვევაში, თუ მე შევძლებდი სასამართლოს ტრიბუნის გამოყენებას ტოტალიტარიზმის ხრიკების მხილებისათვის /ზ. გ./

ბულ შტატებში. დარბაზი სავსე იყო უცხოელი ჟურნალისტებით, თუმც ისინი მოშორებით ისხდნენ, ხოლო ჩემი ტრიბუნა მოსამართლისკენ იყო მიბრუნებული, ასე რომ მე იძულებული ვიყავი ზურგით ვმდგარიყავი მათთან და მესაუბრა მხოლოდ მოსამართლესთან.

მოსამართლე ალმაზოვმა უჩვენა ეკრანზე ვიდეოჩანაწერი ჩემი დაკითხვისა, სადაც მე ვინანიებ ანტისაბჭოთა მასალების გავრცელებას და მკითხა:"ეს თქვენ ხართ თუ არა?" მე მივუგე:"დიახ მე ვარ, მაგრამ ჩემი ანტისაბჭოთა საქმიანობა ერთია, ხოლო პატრიოტული და სამართალდამცვითი /ჰუმანიტარული/ მოღვაწეობა მეორე ..." აქ მოსამართლემ გამაწყვეტინა სიტყვა. მე მოველოდი რომ რომელიმე ჟურნალისტი გაბედავდა ჩემთვის შეკითხვის დასმას, თუ რაში გამოიხატებოდა ჩემი პატრიოტული და სამართალდამცვითი /ჰუმანიტარული/ საქმიანობა, რომელიც მე არ მომინანიებია, მაგრამ რატომღაც ყველა სდუმდა და არავინ ითხოვდა სიტყვას /ალბათ არ ჰქონდათ იმედი, რომ უფლებას მისცემდნენ/.

მაშინ მე თავად გადავწყვიტე მათთვის მიმეცა განმარტება, მაგრამ მოსამართლე ალმაზოვმა აღარ მაცალა და სასწრაფოდ ბრძანა ჩემი გაყვანა დარბაზიდან მე მოვასწარი მხოლოდ თქმა იმისა, რომ დ.შიპლერთან ინტერვიუში მე არ მომითხოვია აშშ-ს შეიარაღებული ინტერვენცია საბჭოთა კავშირში, საქართველოს განთავისუფლების მიზნით, არამედ მოვითხოვე რომ აშშ-ს გაეძლიერებინა დაწოლა საბჭოთა კავშირზე ადამიანის უფლებების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამის შემდეგ სასამართლოს ვიდეოჩანაწერი ისევ აჩვენეს ტელევიზიით და გამოტოვეს ჩემი სიტყვები სადაც მე განვმარტავდი რომ ჩემი პატრიოტული და სამართალდამცვითი საქმიანობა ერთი იყო, ხოლო ანტისაბჭოთა საქმიანობა - მეორე.

ასე ჩაიშალა ჩემი მცდელობა გაუგებრობის გაფანტვისა და დაიბადა ახალი გაუგებრობა იმასთან დაკავშირებით, თუ რად გამოველი მე მოსკოვის საქალაქო სასამართლოში.

ამრიგად, მე არასოდეს არ გამოვსულვარ საბჭოთა ტელევიზიით, ჩემი ე.წ. "ტელეინტერვიუ", რომელიც უჩვენეს "ვრემიას" პროგრამით, შეიძლება ჩაითვალოს ფალსიფიკაციად, ვინაიდან ტელეინტერვიუდ გასაღდა ფრაგმენტი, სუკ-ში ჩემი დაკითხვის ვიდეოჩანაწერიდან ამოგლეჯილი, ხოლო კორესპონდენტებმა პაიპერმა და უიტნიმ დაწერეს სიმართლე იმის შესახებ, რომ მე არ მომინანიებია ჩემი პატრიოტული და სამართალდამცვითი /ჰუმანიტარული/ საქმიანობა, თუმც ამ სიმართლეს სჭირდებოდა ზემოხსენებული კომენტარი და განმარტება, რაც მათ ვერ შესძლეს ინფორმაციის უკმარობის გამო.

ყოველივე ამას დღეს აყალბებს საბჭოთა პროპაგანდა, განსაკუთრებით გაზეთი "კომუნისტი", და მის კვალზე მიმავალი ზოგი ცრუ დისიდენტი, აგრეთვე მათ მიერ მოტყუებული ზოგი ადამიანი, მაგრამ ყოველი მიუკერძოებელი და საქმის ვითარებით რეალურად დაინტერესებული პირისათვის დღესავით ნათელია ყოველივე ზემოთქმულის სისწორე.

1988 ზვიად გამსახურდია

თბილისი

ბიბლიოთეკა

უცხოეთის პრესა ამერიკელი კორესპონდენტების პაიპერისა და უიტნის
პროცესის შესახებ

შეერთებული შტატების პრესა 1978 წლის განმავლობაში აშუქებდა პაიპერ-უიტნის პროცესის სხვადასხვა ასპექტით. აი, ერთ-ერთი რეპორტაჟის შინაარსი: "ამერიკელმა კორესპონდენტებმა ჰ. პაიპერმა და კ. უიტნიმ არ მოისურვეს დასწრება იმ სასამართლო პროცესზე, რომელმაც უნდა განიხილოს მათ მიმართ წაყენებული სამოქალაქო სარჩელი. სარჩელი მათ წარუდგინა სსრკ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, რომელიც ამტკიცებს, რომ ამ კორესპონდენტებმა თავიანთ ინფორმაციებში სახელი გაუტეხეს საბჭოთა ტელევიზიას. საბჭოთა კანონის მიხედვით პაიპერსა და უიტნის ვერ აიძულებენ სამოქალაქო სასამართლოზე დასწრებას.

მოსკოვიდან გვატყობინებენ შემდეგ დეტალებს: ჰაროლდ პაიპერმა განუცხადა დასავლელ კორესპონდენტებს: "მიუხედავად იმისა, რომ მე დარწმუნებული ვარ ჩემდამი წაყენებული სამოქალაქო სარჩელის უსაფუძვლობაში, მე ვაცნობე სასამართლოს ჩემი გადაწყვეტილება, რომ ჩემის მხრივ არ იქნებოდა სწორი ამ სასამართლო პროცესზე დასწრება!" კრეგ უიტნიმაც ანალოგიური განცხადება გააკეთა. ორივე კორესპონდენტმა განაცხადა, რომ მოსარჩელე, ამ შემთხვევაში საბჭოთა ტელევიზია, მოქმედებდა ძალზე არათანამიმდევრულად, რისი მიზეზებიც საიდუმლოებითაა მოცული. უიტნიმ და პაიპერმა განაცხადეს, რომ მათ მიმართ წაყენებული სარჩელი საჭიროებს გამოქვეყნებას ყოველივე იმისას, რაც მათ დაწერეს, ან მათი ინფორმაციის დასაბუთებულ უარყოფას. სინამდვილეში კი, როგორც ნათქვამია, უიტნისა და პაიპერის განცხადებაში, ასეთი სარჩელი წაუყენეს კორესპონდენტებს, რომელთაც არ შეუძლიათ არაფრის დამტკიცება სსრ კავშირში.

ერთ-ერთი წანამძღვარი აშშ-ში პრესის თავისუფლებისა, - ნათქვამია შემდეგ კორესპონდენტთა განცხადებაში,- არის უფლება ინფორმაციის წყაროს დასაიდუმლოებისა. ეს უფლება ვრცელდება საბჭოთა კორესპონდენტებზეც, რომელნიც მუშაობენ შეერთებულ შტატებში. თუ მე მივიღებ მონაწილეობას ჩემდამი წაყენებული სარჩელის განხილვაში,-ნათქვამია შემდეგ უიტნისა და პაიპერის განცხადებაში-მე, შესაძლოა, იძულებული გავხდე ფარდა ავხადო წყაროს ჩემს მიერ დაბეჭდილი ინფორმაციისას, ეს კი საფრთხეს შეუქმნის კონფიდენციალურობის პრინციპს და იქნება დარღვევა ჩემი პროფესიული ეთიკისა. უიტნისა და პაიპერის განცხადებებში აღნიშნულია ისიც, რომ აშშ არასოდეს მოითხოვს ესოდენ მკაცრ დაქვემდებარებას იურისდიქციისადმი იმ საბჭოთა კორესპონდენტებისგან, რომელნიც ინფორმაციას აგზავნიან ამერიკიდან საბჭოთა კავშირში. აქედან გამომდინარე,-ნათქვამია შემდეგ განცხადებაში-მე ვთხოვ მოსკოვის სასამართლოს ამაცილოს ეს სარჩელი. სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველზე, ორივე კორესპონდენტი უარს აცხადებს სასამართლოში მონაწილეობაზე. განცხადებაში ნათქვამია აგრეთვე: "მე არ ვიძახებ არცერთ

მოწმეს და არ ვსაჭიროებ საბჭოთა დამცველს, მე კვლავაც ვიქნები ერთგული ჟურ-ნალისტური სიზუსტის, სიმართლისა და მიუკერძოებლობის ნორმებისა ყველა ინ-ფორმაციაში, რომელთაც გავაგზავნი საბჭოთა კავშირიდან.

ბიბლიოთეკა

კრეგ უიტნიმ კვლავ დაადასტურა თავისი ინფორმაცია ზ. გამსახურდიას საქ-მის შესახებ, როგორც ნამდვილი და ობიექტური. ამ ინფორმაციაში არ იყო ნათქვამი თითქოს ზ. გამსახურდიას გამოსვლა ტელევიზიის ნაყალბევი იყო, თუმცა არც ის იყო ნათქვამი, რომ ეს გამოსვლა ნამდვილი იყო. ინფორმაციაში მოყვანილია ზუსტად მხო-ლოდ განცხადება ზ. გამსახურდიას ნათესავებისა და მეგობრებისა, სასამართლოზე მისი პოზიციის შესახებ, და არა ფილმის შესახებ, აგრეთვე საბჭოთა გაზეთის რე-დაქტორის კომენტარი, რის შესახებაც შეიძლება მსჯელობა დაბეჭდილი წერილის მი-ხედვით.

ჰაროლდ პაიპერმა განაცხადა, რომ მისადმი წაყენებული სარჩელი მოითხოვს მცდარ მტკიცებას, თითქოს მან გამოსთქვა თავისი პირადი შეხედულება იმის შესა-ხებ, რომ ტელევიზიით გადაცემული ფილმი /ზ. გამსახურდიას შესახებ/ ნაყალბევი იყო. ჩემი წერილის ზუსტი თარგმანი მოწმობს იმას, რომ მე არ გამომითქვამს მსგავსი შეხედულება.[1]

**"ამერიკის ხმის" მიმომხილვა: "ამერიკის პრესა საბჭოთა კავშირის შესახებ".**

---

1. პაიპერისა და უიტნის პროცესის საკითხი განხილულ იქნა თეთრ სახლში. გან-ხილვაში მონაწილეობდნენ სახელმწიფო მდივანი ვენსი და პრეზიდენტის მრჩევე-ლი ზ. ბჟეზინსკი. თეთრმა სახლმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატები ვერ დაუშვებს იმას, რომ პროცესი ორი ჟურნალისტის წინააღმდეგ დარჩეს უპასუხოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მ ე რ ა ბ  კ ო ს ტ ა ვ ა ს

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მე, ახლახან განთავისუფლებული პოლიტპატიმარი მ ე რ ა ბ  კ ო ს ტ ა - ვ ა, ზვიად გამსახურდიას მეგობარი და მასთან ერთად გასამართლებული, მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს განვაცხადო შემდეგი: როგორც ხმები მომწვდა, ჩვენს საზოგადოებაში გავრცელდა მცდარი აზრი იმის შესახებ, თითქოს ზ ვ ი ა დ  გ ა მ ს ა ხ უ რ დ ი ა მ დაგმო და მიინანია თავისი პატრიოტული და უფლებადაცვითი საქმიანობა სახ. უშიშროების კომიტეტის მიერ მასზე ზემოქმედების შედეგად, თითქოს მან "უარჰყო თავისი იდეები", თითქოს იგი "გასტეხეს", "დაამინეს" და ა.შ.

ამთავითვე უნდა ვთქვა, რომ ჩემზე უკეთ არავინ უწყის სიმართლე ყოველივე ამის შესახებ, ვინაიდან მე წელიწადზე მეტ ხანს თვალს ვადევნებდი ჩვენი საქმის მსვლელობას, შემდეგ დაპირისპირების, ჩვენი 56 ტომიანი საქმის გაცნობისა და სასამართლოს დროს ხშირად მიხდებოდა შეხვედრა და საუბარი ზ. გამსახურდიასთან, ვიცნობ საქმის ყოველ დეტალს და ყველა გარემოებას ჩვენს საქმესთან დაკავშირებულს.

სასამართლოზე ზ. გამსახურდიას არ დაუგმია და არც მოუნანიებია თავისი ძირითადი საქმიანობა ეროვნული და უფლებადაცვითი ხასიათისა, რაც გამოიხატებოდა მის წერილებში საქართველოს ეკლესიის მდგომარეობის შესახებ, ქართული ენის მდგომარეობის შესახებ, კულტურის ძეგლთა შესახებ, პატიმართა შესახებ, და რასაც ეკუთვნის აგრეთვე ქართული ჰელსინკის ჯგუფის დოკუმენტები. მას არასოდეს უარუყვია თავისი იდეები, არასოდეს დაუგმია თავის მიერ ეროვნული და ადამიანური უფლებების დაცვა.

ზვიად გამსახურდიამ თავის შეცდომად აღიარა და მიიჩნია მ ხ ო ლ ო დ - დ ა მ ხ ო ლ ო დ ზოგიერთი რუსული ემიგრანტული და თვითგამოცემისეული მასალების გამრავლება-გავრცელება. პრესსამ.კონფზე დასახა საქმე, თითქოს მან ხაზი გადაუსვა მთელს თავის საქმიანობას, მაშინ როდესაც ხან მხოლოდ თავისი შ ე ც დ ო მ ე ბ ი ახსენა.

უფრო მეტიც, სასამართლოზე ზვიად გამსახურდიამ კვლავ მოითხოვა შესრულება თავისი იმ წინადადებებისა ჩვენს ეროვნულ და საეკლესიო ცხოვრებაში, რომელიც მას ადრე წამოყენებული ჰქონდა თავის ზემოხსენებულ წერილებში. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ამ მოთხოვნათა ნაწილი დღეს დაკმაყოფილებულია.

ხოლო რაც შეეხება მის ტაქტიკურ უკანდახევას ზემოხსენებულ ემიგრანტულ და თვითგამოცემისეულ მასალებთან დაკავშირებით, ეს ამბავიც აუცილებლობით იყო გამოწვეული. ეს კომპრომისი აუცილებელი იყო, რათა თავად ოფიციალობა წასულიყო კომპრომისზე და შესრულებულიყო სწორედ ჩვენი ძირითადი მოთხოვნები ეკლესიის სფეროში, ენის სფეროში, კულტურის ძეგლთა სფეროში და ა.შ.

სასამართლოზე ზვიად გამსახურდიამ თავი დამნაშავედ სცნო მხოლოდ ზემოხსენებული რუსული ემიგრანტული მასალების გავრცელებაში,(უმეტესწილად "ნტს"-ისა და "პოსევის" მასალები), ხოლო მე საერთოდ არაფერში არ ვცანი თავი დამნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავედ. ჩემი უკომპრომისო პოზიცია და ზვიად გამსახურდიას ნაწილობრივ კომპრომისული პოზიცია ჩვენს შორის ურთიერთშეთანხმებული და წინასწარ განზრახული იყო სასამართლომდე გაცილებით უფრო ადრე.

ჩვენ შევთანხმდით აგრეთვე იმაზე, რომ ზვიად გამსახურდია მომავალში, გადასახლებაში ყოფნის დროს დაწერდა თხოვნას განთავისუფლების შესახებ პრეზიდიუმის სახელზე და ჩემზე ადრე დაბრუნდებოდა საქართველოში, რაც აუცილებელი იყო ჩვენი საერთო საქმისათვის, ჩვენი დანარჩენი მოძმეების შენარჩუნებისათვის და ეროვნულ ძალთა რეგულირებისათვის. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ზ. გამსახურდიამ ეს ყოველივე შეასრულა და ამჟამად განაგრძობს პატრიოტულ მოღვაწეობას და ადამიანის უფლებათა დაცვას.

ზვიად გამსახურდიას ნაბიჯს და პოზიციას მე არა ნაკლებ ვაფასებ, არამედ აუცილებლადაც მიმაჩნია იმ სიტუაციის შესაბამისად. ასევე სწორად მიმაჩნია ჩემი პოზიცია, იმავე მიზნებიდან გამომდინარე. აქვე უნდა დავსძინო, რომ ზვიად გამსახურდიას არავინ დაუსახელებია დაკითხვებზე, მისი მიზეზით არავინ დაუპატიმრებიათ უშიშროების კომიტეტში და არც გაუჩხრეკიათ.

ერისა და სიწმინდისათვის საკუთარი სიცოცხლის გამწირველობა არაა [illegible] თავმოყვარეობაც დასდო სასწორზე, რაც პირველ მსხვერპლზე უარესია. არის აგრეთვე ზოგი გარემოება, რომელსაც მე ამჟამად ქაღალდს ვერ ვანდობ, მაგრამ რომელიც გაირკვევა მომავალში ქართველი ერისათვის.

მე ვთხოვ ჩვენს საზოგადოებას, ნუ აყვება დეზინფორმაციას, რომელსაც ხელს უწყობენ პრესსა და ზოგიერთი მოსყიდული და დეზინფორმირებული ადამიანი.

მ ე რ ა ბ  კ ო ს ტ ა ვ ა

1987 მაისი

/ჟურნალი "გლასნოსტი" № 5/

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, თავად მ. კოსტავა საბოლოოდ დარწმუნდა ყოველივე ზემოთქმულის სისწორეში მას შემდეგ, რაც 1976 წლის მაისში, ზ. გამსახურდიას დაკითხვის ვიდეოფირის ჩვენების შემდეგ ტელევიზიით, დაპატიმრეს კერატიშვილი /"მიტროპოლიტი გაიოზი"/, რაც ნიშნავდა ხელისუფლების მხრივ დიდ კომპრომისზე წასვლას, რასაც მოჰყვა შემდგომში საეკლესიო პოლიტიკის შეცვლაც /კომკავშირული რეიდების მოხსნა ეკლესიებში, ახალგაზრდობისათვის რელიგიური უფლებების დაბრუნება, ახალი სოფლელი ეკლესიების გახსნა, სასულიერო ჟურნალების დარიგება, სემინარიელთათვის ქადაგების უფლების დაბრუნება და ა.შ., რაც ერთერთი უმთავრესი მოთხოვნა იყო ქართველი ქრისტიანული ჯგუფისა/. ზ. გამსახურდიას კომპრომისის შედეგად ხელისუფლება ასევე მრავალ კომპრომისზე წავიდა [illegible] სფეროში, ენის სფეროში და სხვა კულტურულ სფეროებში, რაც თავდაპირველად გახდა [illegible] გამსახურდიასა და კოსტავას პროცესის შედეგ. /რედ./

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰელსინკის ხელშეკრულების დასკვნითი აქტიდან

## ევროპის უშიშროებასთან დაკავშირებული საკითხები.

1.

ა/. დეკლარაცია პრინციპებისა, რომლებითაც მონაწილე სახელმწიფოები იხელმძღვანელებენ ურთიერთდამოკიდებულებაში:

VII. პატივისცემა ადამიანის უფლებებისა, ძირითადი თავისუფლებებისა, აზრის, სინდისის, რელიგიისა და შეხედულების თავისუფლების ჩათვლით.

მონაწილე ქვეყნებმა პატივი უნდა სცენ ადამიანის უფლებებს და ძირითად თავისუფლებებს, აზრის, სინდისის, რელიგიისა და შეხედულებათა თავისუფლების ჩათვლით, ყველასათვის, განურჩევლად რასისა, სქესისა, ენისა თუ რელიგიისა.

სახელმწიფოები ხელს შეუწყობენ და განავითარებენ ეფექტურ განხორციელებას სამოქალაქო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და სხვა უფლებებსა და თავისუფლებებს, რომელნიც გამომდინარეობენ ადამიანის პიროვნების ღირსებიდან და არსებით პირობას წარმოადგენენ მისი სრული და თავისუფალი განვითარებისათვის.

ამ ჩარჩოებში მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ პიროვნების თავისუფლებას, რათა მან, თავისი სინდისის კარნახით, აღიაროს ესა თუ ის რელიგია ან სარწმუნოება.

მონაწილე ქვეყნები, რომელთა ტერიტორიაზეც არის ნაციონალური უმცირესობანი, პატივს სცემენ უფლებას პიროვნებებისას, რომელნიც ეკუთვნიან ამგვარ უმცირესობებს, მათ თანასწორუფლებიანობას კანონის წინაშე, მისცემენ მათ სრულ შესაძლებლობას ფაქტობრივად ისარგებლონ ადამიანის უფლებებით და ძირითადი თავისუფლებებით, და ამრიგად დაიცავენ მათ კანონიერ უფლებებს ამ სფეროში.

მონაწილე ქვეყნები აღიარებენ საყოველთაო მნიშვნელობას ადამიანის უფლებებისას და ძირითადი თავისუფლებებისას, რომელთა პატივისცემაც არის არსებითი ფაქტორი მშვიდობისა, სამართლიანობისა და კეთილდღეობისა, აუცილებელი მეგობრული ურთიერთდამოკიდებულებისა და თანამშრომლობის განვითარებისათვის მათ შორის, ისევე როგორც ყველა სახელმწიფოს შორის.

ისინი მუდამ პატივს სცემენ ამ უფლებებსა და თავისუფლებებს თავიანთ ურთიერთობაში და ყოველ ღონეს იხმარენ, ერთობლივად და ცალკ-ცალკე, ჩააბამენ რა ამ თანამშრომლობაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, იმ მიზნით რომ უფრო ეფექტურად შეუწყონ ხელი ადამიანის უფლებათა და ძირეულ თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემას.

ისინი აღიარებენ პიროვნებათა უფლებებს საკუთარ უფლება-მოვალეობათა ცოდნისას ამ სფეროში და მათ შესაბამისად მოქმედებისას.

ადამიანის უფლებათა და ძირეულ თავისუფლებათა სფეროში მონაწილე ქვეყნები იმოქმედებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებისა და პრინციპების და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შესაბამისად. ისინი ამასთან შეასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს იმის და მიხედვით

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ როგორ არიან ისინი დადგენილნი საერთაშორისო დეკლარაციებში და შეთანხმებებში, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტების ჩათვლით, თუ[illegible] მათთან არიან დაკავშირებულნი.

VIII. ერთა შორის თანასწორობა და საკუთარი ბედის განმგებლობის უფლება.

მონაწილე ქვეყნებმა პატივი უნდა სცენ ერთა თანასწორობას და მათ უფლებას საკუთარი ბედის განმგებლობისას, ამას გამუდმებით უნდა იმოქმედონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებისა და მიზნების შესაბამისად, მათ აგრეთვე უნდა იმოქმედონ საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, იმ ნორმების ჩათვლით, რომელნიც ეხება სახელმწიფოთა ტერიტორიულ მთლიანობას.

თანასწორუფლებიანობის პრინციპიდან გამომდინარე, ერების მიერ საკუთარი ბედის განმგებლობის უფლებიდან გამომდინარე, ყველა ერებს მუდამ აქვთ უფლება სრული თავისუფლების პირობებში განსაზღვრონ, თუ როდის და როგორ სურთ მათ განსაზღვრა თავიანთი შინაგანი და გარეგანი პოლიტიკური სტატუსისა. გარედან ჩარევის გარეშე ისინი თავადვე განსაზღვრავენ თავის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას.

მონაწილე ქვეყნები ადასტურებენ საყოველთაო მნიშვნელობას ერთა თანასწორუფლებიანობისა და საკუთარი ბედის განმგებლობის უფლების პატივისცემისას და ეფექტური განხორციელებისას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მათ შორის და აგრეთვე ყველა სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთდამოკიდებულების განვითარებისათვის; ისინი შეახსენებენ ურთიერთს აგრეთვე იმის მნიშვნელობას, რომ უნდა გამორიცხონ ამ პრინციპის დარღვევა ნებისმიერი ფორმით.

### თანამშრომლობა ჰუმანიტარულ და სხვა სფეროებში.

### 2. ინფორმაცია X

მონაწილე სახელმწიფოებს შეგნებული აქვთ რა მოთხოვნილება უფრო და უფრო ფართოდ გაეცნონ სხვა მონაწილე-სახელმწიფოთა ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებს,

აღნიშნავენ რა ამ პროცესის მნიშვნელობას ხალხთა შორის ნდობის გაზრდაში,

---

X. აღსანიშნავია, რომ 1975 წლის 2 აგვისტოს გაზეთ "კომუნისტში", სადაც გამოქვეყნებულია ჰელსინკის ხელშეკრულების დასკვნითი აქტის ტექსტი, ეს პარაგრაფი მთლიანად გამოტოვებულია. ასე რომ იგი პირველად ქვეყნდება ქართულ ენაზე. თვით გაზეთის ეს ნომერი კი ამოღებულია თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის საერთო სარგებლობის ფონდიდან და ინახება მხოლოდ ხელუხლებელ ფონდში.

ისინი მიზნად ისახავენ უფრო თავისუფალ და ფართო განვითარებას ინფორ-მაციის ყოველგვარი ფორმებისას, ხელის შეწყობას ინფორმაციის სფეროში თანა-მშრომლობისათვის, სხვა ქვეყნებთან ინფორმაციის გაცვლისათვის და გააუმჯობე-სებენ პირობებს, რომლებშიც ერთი მონაწილე სახელმწიფოს ჟურნალისტებს უხდებათ განხორციელება თავიანთი პროფესიონალური საქმიანობისა მეორე მონაწილე სახელმ-წიფოში.

## თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსიფიკაცია

სკკპ გენერალურ მდივანს, მ. ს. გ ო რ ბ ა ჩ ო ვ ს

გაცნობებთ, რომ ა.წ. მაისში, თბილისში სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის, ი. ლიგაჩოვის გამოსვლის შემდეგ, რომელმაც მოითხოვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართველი ეროვნების სტუდენტთა პროცენტული რა-ოდენობის შემცირება, უნივერსიტეტის რექტორმა ნ. ამაღლობელმა, სამეცნიე-რო საბჭოსთან შეუთანხმებლად, ქართული ჯგუფების გაუქმების ხარჯზე შექმნა ახალი რუსული ჯგუფები მათემატიკურ, ქიმიურ და ფიზიკურ ფაკულტეტებზე.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ამის შედეგად ქართველი სტუ-დენტების მისაღები კონტინგენტი 400 ერთეულით შემცირდა, რუსული სექტორე-ბის გახსნამ ქართულის ხარჯზე, მნიშვნელოვნად გააუარესა ქართულ სკოლადა-მთავრებულთა ჩარიცხვის შესაძლებლობანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე-ტში, რაც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს საქართველოდან მიგრაციას ქარ-თველი ახალგაზრდობისას. ცნობილია, რომ ყოველი მეოთხე ქართველი სტუდენტი სწავლობს საქართველოს ფარგლებს გარეთ მდებარე უმაღლეს სასწავლებლებში.

მოვითხოვთ ქართველი ახალგაზრდობის ეროვნული ნიშნით დისკრიმინაციით შეწყვეტას, მოვითხოვთ, რომ ამავე წელს, მისაღებ გამოცდებამდე /1 აგვის-ტომდე/ აღსდგეს გაუქმებული სტუდენტური ჯგუფები და აღიკვეთოს ანალოგიუ-რი ფაქტები სხვა უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში.

ზვიად გამსახურდია,

მერაბ კოსტავა.

1987 წლის 7 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოსკოვის სემინარის ნაციონალური სექციის მოთხოვნები საბჭოთა მთავრობისადმი

/1987 წლის 15 დეკემბერი/ x

სანამ დემოკრატიზაციის და საჯაროობის ევოლუციით მიიღწევა საყოველთაო ნება-სურვილის გამომხატველი რეფერენდუმი, რომელიც განიხილავს საკითხს სსრკ-ს შემადგენლობაში საქართველოსა, თუ სხვა ნებისმიერი რესპუბლიკის დარჩენისას, თუ მისგან გასვლისას, გთავაზობთ საბჭოთა მთავრობას დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნები:

1. დამკვიდრდეს სამართლიანობაზე დამყარებული თანაფარდობა სსრკ-ს ყველა არარუსულ რესპუბლიკაში ადგილობრივი ეროვნების წარმომადგენელთა მიერ რუსული ენის, კულტურისა და ისტორიის ათვისებასა და ამ რესპუბლიკებში მცხოვრები რუსების, თუ სხვა ეროვნების წარმომადგენელთა მიერ ადგილობრივი ენის, კულტურის და ისტორიის ათვისების საქმეში.

2. რუსული უნდა მივიჩნიოთ მარტოოდენ სსრკ-ს სხვადასხვა ნაციონალობათა დამაკავშირებელ, და არა მშობლიურ, ან მეორე მშობლიურ ენად, როგორც ეს ჩვენში სურთ წარმოადგინონ. ისევე როგორც ერთადერთია მშობელი დედა, მხოლოდ ერთადერთი შეიძლება იყოს მშობლიური ენაც. არცერთ ეროვნულ არაინგლისურენოვან სახელმწიფოში, სადაც სახელმწიფოებრივ საქმეებში ინგლისურ ენას, ადგილობრივი ხალხის სურვილით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება, არც უფიქრიათ ინგლისურის მშობლიურ ან მეორე მშობლიურ ენად გამოცხადება.

3. სასკოლო ასაკიდანვე უნდა დამყარდეს თანასწორუფლებიანობა რუსულ და სსრკ-ს დანარჩენ ეროვნებათა ენებს შორის. დანარჩენ ეროვნებათა ბავშვები არ უნდა იყვნენ მოწმენი ამ მიმართებით რუსი ბავშვების პრივილეგირებისა. მოსწავლეთა დავალებულების ზომები, ანუ სწავლების რამდენადმე აუცილებელი მაღდაქანება სამართლიანი გადაწყვეტილებების მისაღებად უნდა იქნეს გამოყენებული. ამიტომაც, სკოლაში რსფსრ-ს გარეთ მცხოვრები რუსი ბავშვებისათვის, ადგილობრივი ენის შესასწავლად კვირაში იმდენივე საათი უნდა გამოიყოს, რამდენიც ამავე ეროვნების ბავშვებისთვისაა გამოყოფილი რუსული ენის შესასწავლად. თუკი ამჟამად, რუსული ენის ათვისებისათვის ნებისმიერი რესპუბლიკის სკოლებში 6-7 საათია გამოყოფილი, ადგილობრივი ენის შესასწავლად იქავე მცხოვრები რუსი ბავშვებისათვის გამოყოფილია მხოლოდ 3-საათი. სსრკ-ს ნებისმიერ რესპუბლიკაში მცხოვრები სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები იმდენად უნდა ფლობდნენ ამ ერის ენას, რომ დაუბრკოლებლივ შეძლონ მუშაობა ნებისმიერ სხვა დაწესებულებაში, თვით უმაღლეს ინსტანციათა დონეზე, სადაც საქმეები მარტოოდენ მოცემული ერის მშობლიურ ენაზე უნდა წარმოებდეს, ამიტომაც დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს მოკავშირედ წოდებულ რესპუბლიკებში მეცნიერებისა და უმაღლეს სასწავლებელთა რუსიფიკაცია. ცხოვრების ნებისმიერ სფეროში უნდა მოხდეს მშობლიური ენის კონსტიტუციური უფლებების სრული რეალიზაცია, რაიც ეროვნული შეგნებისა და თანასწორუფლებიანობის საწინდარი იქნება. უმწვავეს ეროვნულ პრობლემებზე თავისუ-

---

x/ ვინაიდან სექციის კოორდინატორები, პ. აირიკიანი და ვ. ჩერნოვილი დააკავეს ერევანსა და ლვოვში, კოორდინატორობა იტვირთეს ზ. გამსახურდიამ და მ. კოსტავამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფალი საუბარი,ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა და ამასთან დაკავშირებით სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღება და შესაბამის ღონისძიებათა ჩატარება არ უნდა იზღუდებოდეს" შოვინიზმად",მხოლოდ ამგვარად გარდაიქმნება იმპერია ჭეშმარიტ ფედერაციად,სადაც ნებისმიერი ერის ბედი,მისი ყოფნა თუ არყოფნა კავშირში,რეფერენდუმის გზით,უმრავლესობის სურვილით გადაწყდება.

4. დაუყოვნებლივ მოხდეს ომის დროს გადასახლებული ხალხების,მესხების საქართველოში და ყირიმელი ტავრიელების ყირიმში რეპატრიაცია.მესხებს დაუბრუნდეს თვითნებურად წართმეული ქართული ეროვნება და ქართული გვარები,ყირიმის ტავრიელებს კი ტერიტორიასთან ერთად დაუბრუნდეს სახელმწიფოებრიობა.

5. სსრკ-ს დიდ ქალაქებსა და ოლქებში,სადაც მოკავშირე რესპუბლიკებიდან დიდი რაოდენობითაა მოგროვილი მოსახლეობა,შეიქმნას საბავშვო ბაღები და სკოლები მათ მშობლიურ ენაზე.

6. იმ ეროვნებებს რომელთაც სსრკ-ში ტერიტორია და ადმინისტრაციული ერთეული არ გააჩნიათ,/ებრაელები,ბერძნები,ასურელები,გერმანელები,კორეელები და ა.შ./, მშობლიურ ენაზე უნდა გააჩნდეთ საბავშვო ბაღები,სკოლები და გამომცემლობები, საკუთარი კულტურულ-ეროვნული ცენტრები,როგორც ეს ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაშია მიღებული,მათ მშობლიურ ენაზევე უნდა დაეთმოთ ტელე და რადიოგადაცემები. ამ ეროვნებათა მოქალაქეებს უნდა მიეცეთ დაუბრკოლებლივ ემიგრაციისა და თავიანთ ხალხთან შეერთების უფლება.

7. ისეთი მცირე ტერიტორიის მქონე რესპუბლიკებში,როგორიცაა:საქართველო,სომხეთი,აზერბაიჯანი,მოლდავეთი და სხვა,არ უნდა იგებოდეს ატომური ელექტროსადგურები და სხვა ბირთვული ობიექტები,აგრეთვე სპეციალური ქიმიური ქარხნები,რადგან ჩერნობილის მსგავს ნებისმიერ შემთხვევით ავარიას ძალუძს ამ ხალხების გენოციდის გამოწვევა.

8. მცირე ტერიტორიის გამო ამგვარ რესპუბლიკებში არ უნდა შენდებოდეს დიდი წყალსაცავები,რადგან ისინი იწვევენ ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევას,სინესტისა და ნალექიანობის ზრდას და ამით უზარმაზარ ზიანს აყენებენ ბუნებასა და კულტურის ძეგლებს.

9. შეწყდეს ასიმილაციის მიზნით ხელოვნური პირობების შექმნა,მცირე ეროვნებათა მიგრაციას რომ აძლიერებენ რსფსრ-ს ტერიტორიაზე.იდეალად უნდა დაისახოს საპირისპირო საწყისთა ჰარმონია,მრავლობითობა ერთიანობაში თითოეული ნაწილის სრულ თანასწორუფლებიანობას რომ გულისხმობს და არა ერთეროვნება ნაცრისფერი მასისა,რადგან უკვე გადაშენების გზაზე დამდგარი ხალხების შეტანა წითელ წიგნში აშკარა ფარისევლობაა,მაშინ როდესაც ხალხების სრული ასიმილაციისათვის,ანუ გარუსებისათვის არ ერიდებიან სხვადასხვა ხერხების გამოყენებას,რასაც დაახლოებას, ურთიერთშერწყმას უწოდებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დ ა ვ ი ც ვ ა თ ბ ა ვ შ ვ ე ბ ი!

## მიმართვა მოსკოვის ადამიანის უფლებათა დაცვის სემინარის მონაწილეებისადმი

უკანასკნელ ხანებში საბჭოთა კავშირში თითქოს მინელდა ოფიციალური დევნა იმ დისიდენტებისა, რომლებიც უცხოეთში ცნობილნი არიან, თუმც ხელის-უფალნი იგონებენ ახალ-ახალ ფორმებს უფრო დახვეწილი დევნისა და ფსიქოლოგიური ტერორისას დისიდენტებისა და მათი ოჯახების მიმართ, განსაკუთრებით მოსკოვიდან მოშორებულ რაიონებში.

იროდიანობის ახალი ფორმა შეიძლება ეწოდოს იმ მეთოდებს დისკრიმინაციისას და შევიწროებისას, რომელთაც იყენებენ სკოლებში ოპოზიციონერთა შვილების მიმართ, მათ მშობლებზე ზემოქმედებისა და დაწოლის მიზნით, მათი მოღვაწეობის პარალიზებისათვის. ბავშვების მძევლებად გადაქცევა მძლავრი საშუალებაა მათი მშობლების კონტროლირებისათვის, რასაც მიმართავდნენ ყველა დროის უზურპატორები და ტირანები /თუმც უწინ სსრკ-ში ასეთ მეთოდებს უფრო ხშირად იყენებდნენ მორწმუნეთა შვილებზე/.

ამის გამო აუცილებელია შექმნა ბავშვთა და მოზარდი თაობის დაცვის კომიტეტისა, რომელიც შეაგროვებს ფაქტებს სკოლებში ბავშვების დისკრიმინაციის, მათ მიმართ არაპედაგოგიური მოპყრობის შესახებ, უმაღლეს სასწავლებლებში მიღებისას დისკრიმინაციის, ჯარში გაწვევისას ჩადენილ უკანონობათა შესახებ და ა.შ.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ დისიდენტთა შვილების მიმართ ამგვარ მოპყრობაში არსებითად არაფერია ახალი. მსგავს მეთოდებს უწინაც იყენებდნენ და ამგვარი კომიტეტი უნდა შექმნილიყო ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ა. ა. სახაროვი და ე. ბონერი ღებულობდნენ მუქარის წერილებს თავიანთ შვილებზე, როდესაც უარყოფილთა[X] შვილებს სცემდნენ და ასახიჩრებდნენ სკოლებში, განსაკუთრებით უკრაინასა და საქართველოში, როდესაც ადამიანის უფლებათა დამცველთა შვილები იძულებული ხდებოდნენ დაეტოვებინათ საბჭოთა კავშირი, ხშირად თავიანთ მშობლებთან ერთად, ვინაიდან ისინი მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ პერსპექტივას სსრ კავშირში, როდესაც მორწმუნეებს ართმევდნენ მშობლის უფლებას, ან არ აძლევდნენ ნებას შვილების აღზრდისას თავიანთი მსოფლმხედველობისა და რელიგიური აღმსარებლობის მიხედვით. ახალისთვის საინტერესო არ არის ის ფაქტი, რომ სსრკ-ში ადამიანის უფლებათა დამცველები იწყებენ **ბავშვების** უფლების დაცვას.

ჩვენ მოვუწოდებთ ადამიანის უფლებათა ყველა დამცველს სსრკ-ში, ქვეყნის მოძრაობის ყველა წარმომადგენელს, მოსკოვის სემინარის ყველა მონა-

---

X. უარყოფილი – "ოტკაზნიკი", ადამიანი, რომელსაც ხელისუფალნი უარს ეუბნებიან ემიგრაციაზე.

წილს, ხელი შეუწყონ ბავშვთა დაცვის კომიტეტის დაარსებას, რომელიც მოა-
ხდენს ორგანიზებას ჰუმანიტარული დახმარებისას პოლიტპატიმართა და სხვა
დევნილ პიროვნებათა შვილებისათვის, დაიცავს მათ იმ შემთხვევაში, თუ მათ
არაადამიანურად მოეპყრობიან, თუ დარღვეულ იქნება მათი უფლებები და ა.შ.
ყოველივე ამის გარეშე წარმოუდგენელია მიღწევა იმ ჰუმანური მიზნებისა,
რომელთაც ისახავს ადამიანის უფლებათა დაცვის მოძრაობა სსრკ-ში და მთელს
მსოფლიოში.

1987. 10 დეკემბერი

მოსკოვის სემინარის მონაწილენი:

8. გამსახურდია, თბილისი
მ. კოსტავა, თბილისი
ა. ლაშჩივერი, მოსკოვი
ა. ვერეშჩაგინი,
გ. არხიპოვა, კალუგა
ი. პიტაკსი, რიგა
პ. ვოლტსი, რიგა
ე. კრუკოვსკისი, ვილნიუსი

ბავშვთა დაცვის კომიტეტის განცხადება

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, სსრკ მოქალაქენი, ვაცხადებთ, რომ
ჩვენს მიერ დაარსებულია კომიტეტი იმ ადამიანთა ბავშვების დაცვისა, რო-
მელთაც სდევნიან თავიანთი შეხედულებებისათვის, რელიგიური აღმსარებლობი-
სათვის, ან ისეთი პოლიტიკური მოღვაწეობისათვის, რომელსაც არ იწონებს
ოფიციალური იდეოლოგია. უკანასკნელ ხანებში სასწავლო დაწესებულებებში
/განსაკუთრებით პერიფერიებზე/ ფრიად გახშირდა შემთხვევები ასეთ ბავშვ-
თა დისკრიმინაციისა, იზოლაციისა და მათზე პირდაპირი თავდასხმებისა, რაც
ზოგჯერ მათი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საშიშ ფორმას ღებულობს და
გამოიყენება ხელისუფალთა მიერ მათ მშობლებზე ზემოქმედებისა და დაწოლი-
სათვის, მათი ოპოზიციური საქმიანობის ან რელიგიური აქტივობის პარალიზე-
ბის მიზნით.

ჩვენ მიზნად ვისახავთ ამ უღირსი მეთოდების მხილებას, მათ შესახებ
ინფორმაციის შეგროვებას და ფართო საზოგადოების ინფორმირებას. კომიტეტი
მოუწოდებს კეთილი ნების ყველა ადამიანს, შეუერთდნენ მას და ხელი შეუწ-

ყონ მის ბრძოლას თვითნებობისა და ფარული ტერორის ყველაზე უმწეო და უმან-კო მსხვერპლთა გადასარჩენად, ვიდრე საბოლოოდ არ აღმოიფხვრება ყვე[illegible]-თხვევა ამ სამარცხვინო და საშიში მოვლენისა ჩვენს სინამდვილეში.

1987. 15. დეკემბერი
მოსკოვი

სემინარის მონაწილეები:
ზ. გამსახურდია
მ. არჩიპოვა
ი. კალინიჩევი
ი. კისელევი
ლ. კოჟევნიკოვა

"სამოქალაქო ღირსების ჯგუფის" სახელით,
ვ. ზოლოტარიოვი /ტელ. 431-95-49/
მოსკოვი

ვუერთდებით:
გ. კროჩიკი, მოსკოვი /ტ. 431-95-49/
ა. ორრიო
მ. ბელიაკოვი
ვ. ვინკინი /მოსკოვი/
მ. ვინკინა /ფეოდოსია/
ო. კუსიმა
ა.ნ. პრონინა
მ. კოსტავა
მ. არჩვაძე-გამსახურდია

/ჟურნალი "გლასნოსტი" №15/

მინაწერი:

მოგვიანებით /1988 წ. 22 იანვარს/ ზ. გამსახურდიამ კომიტეტის სახელით წერილი გაუგზავნა ბავშვთა ხსნის მსოფლიო ფონდის პრეზიდენტს, ინგლისის პრინცესა ანას /ბუკინგემის სასახლე, ლონდონი/, სადაც ამცნო მას კომიტეტის ჩამოყალიბება, მისი მიზნები და შემადგენლობა და სთხოვა მორალური დახმარება და თანადგომა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოეთის პრესის მიმოხილვა

## „გორბაჩოვს ტვინში უზის საქართველო“

/"სანდი ტაიმსი", 1988 წ. 10 აპრილი/

ნაციონალისტური ემოცია ძალას იკრებს საქართველოში, საბჭოთა რესპუბლიკაში, რომელიც ესაზღვრება ამჟამად მბორგავ სომხეთსა და აზერბაიჯანს, როგორც ამას გვატყობინებს ანგუს როქსბორო თბილისიდან.

მოსკოვი ცდილობს არ დაუშვას ამ რეგიონში ახალი უკმაყოფილება. მაგრამ რუსეთის ხელისუფლებამ ამისათვის უნდა წაშალოს ხალხის ხსოვნიდან საქართველოსა და მისი კულტურის წინააღმდეგ ჩადენილი მტრული აქციები.

ნაციონალისტები გეგმავენ დემონსტრაციას დედაქალაქ თბილისში, მომავალ ხუთშაბათს, რომელმაც უნდა მოითხოვოს ქართული ენის სტატუსის გაუმჯობესება.

გასულ კვირას კრემლი დიდ დათმობაზე წავიდა ნაციონალისტების წინაშე. გამოცხადდა დროებითი შეჩერება სამუშაოებისა იმ პროექტის მიხედვით, რომელიც გახდა სიმბოლო მოსკოვის დამანგრეველი ყოფნისა საქართველოში. ეს არის ტრანსკავკასიის დიდი რკინიგზის მშენებლობა, რომელიც მრავალი ქართველის აზრით, გამოიწვევს კატასტროფულ ეკოლოგიურ და კულტურულ შედეგებს.

ეს დროებითი შეჩერება შედეგი იყო ადამიანის უფლებათა დაცვის წამყვანი აქტივისტის, ზვიად გამსახურდიას ოთხკვირიანი შიმშილობისა. ამასთან თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტებმა უფრო ადრე მოაწყეს დემონსტრაცია გარემოს დაცვის სხვა საკითხთან დაკავშირებით: კერძოდ, საქმე ეხებოდა შუასაუკუნეობრივი მონასტრის ტერიტორიის წითელი არმიის საარტილერიო პოლიგონად გადაქცევას.

ხუთშაბათის დემონსტრაცია აღნიშნავს 10 წლისთავს 40 ათასიანი დემონსტრაციისას (1978 წ.), რამაც აიძულა ხელისუფლება აღარ შეეცვალა კონსტიტუციური გარანტია ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსისა. დემონსტრაციის დამგეგმავეთ სურთ, რომ ეს სტატუსი რეალობად იქცეს ცხოვრების ყველა სფეროში, და არა მხოლოდ ქაღალდზე.

რუსებისათვის საქართველო სხვა არაფერია, თუ არა და სამხრეთის უცნაური ქვეყანა, საიდანაც გამოვიდა სტალინი, იქ მრავალი ერია არეული, რაც ახარებს პრავდის პროპაგანდისტებს, რომლებიც გვისახავენ საბჭოთა კავშირს, როგორც ერთ დიდ, ბედნიერ ოჯახს.

თბილისის მუსულმანური უბნის ღირსშესანიშნავ სახლებს შორის, ქართლის დედის ქანდაკების ძირში, მე წავაწყდი იდილიურ სცენას, რომელსაც ალბათ პრავდაც ველარ გაუკეთებდა ფერ-უმარილს. ხუთი ბავშვი ხალისიანად თამაშობდა. ერთი გოგონა სომეხი აღმოჩნდა, მეორე-ქართველი, მესამე აზერბაიჯანელი, მეოთხე ქურთი და მეხუთე ებრაელი.

საქართველო უკვე მეორე საუკუნეა, რაც რუსეთის მმართველობის ქვეშაა, ასე რომ ქართველთა უმრავლესობისათვის მოსკოვის იმპერიის ხალხთა შორის ყოფნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრებისეული ფაქტია. ნაციონალისტი დისიდენტები, რომლებიც აცხადებენ, რომ გამოხატავენ ყველა ქართველის გულის ნადებს, ხშირად მიუთითებენ კიდევ ერთ სრული [illegible] მაგალითებზე.

გასული წლის მაისში თბილისს ესტუმრა პოლიტბიუროს იდეოლოგი, იგორ ლიგაჩოვი, იგი აღშფოთდა, რომ თბილისის უნივერსიტეტსა და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ძალიან ცოტა აღმოჩნდა რუსული კადრები. ხელისუფლებამ სასწრაფოდ შეამცირა ქართული კადრები 400 ერთეულით, და დაუთმო ეს ადგილები რუს ლექტორებს[x].

თუმც ქართველი ნაციონალისტების ყურადღება ძირითადად მიპყრობილია არა პოლიტიკაზე და ენაზე, არამედ ეკოლოგიაზე – კერძოდ ტრანსკავკასიური რკინიგზის შედეგებზე, რომლის სამუშაოებიც დაიწყო ოთხი წლის წინად.

120 მილის სიგრძე ტრასსა, რომელიც გაივლის მზერის დამატყვევებელ მთებსა და ხეობებს, სავარაუდოდ შეფასებულია 2 მილიარდამდე მანეთად, და საჭიროებს 11 გვირაბს, რომელთაგან ერთ-ერთი 11 მილის სიგრძე უნდა იყოს. საბჭოთა ტელევიზია უწოდებს ამას "საუკუნის მშენებლობას". როცა დასრულდება, იგი შეამოკლებს მანძილს მოსკოვიდან თბილისამდე 6 საათით, და როგორც მისი მომხრენი ამტკიცებენ, ააყვავებს ეკონომიკას ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკისას.

ეს გეგმა დამტკიცებულ იქნა ბრეჟნევის დროს და ასახავს მის სიყვარულს ყოველივე გრანდიოზულისადმი. ეს ჩამოჰგავს მის მეორე მონუმენტალურ პროექტს, ციმბირის დიდი მდინარეებისათვის მიმართულების შეცვლისას, რომელიც ჩაიშალა ამ ორი წლის წინად საზოგადოების პროტესტების შედეგად, როდესაც მის წინააღმდეგ გაილაშქრეს მწერლებმა, ეკონომისტებმა, ნაციონალისტებმა და მეცნიერებმა.

ტრანსკავკასიის რკინიგზის მოწინააღმდეგენი ამბობენ, რომ სამუშაოებმა უკვე გაანადგურა 100-ზე მეტი კულტურის ძეგლი და არქეოლოგიური ადგილი, და რომ საფრთხე ემუქრება კიდევ მეტს. [illegible] ქიმიური ნივთიერებები, როგორც ამბობენ, მოწამლავენ ჟინვალის წყალსაცავს და მდინარე არაგვს, რომელიც თბილისს წყლით ამარაგებს. ბუნების მშვენება განადგურდება მუშათა დაბებისა და ქარხნების მშენებლობის, ელექტროდენის ხაზების გაყვანის შედეგად. ნაციონალისტები ამტკიცებენ აგრეთვე, რომ პროექტი არის ამავე დროს შეუმჩნეველი რუსიფიკაციისათვის მოგონილი ხრიკი, ვინაიდან მშენებელთა უმრავლესობა გარედან უნდა შემოვიდეს.

თვით რუსი ეკონომისტებიც არ ამტკიცებენ ერთხმად, რომ პროექტი საჭიროა. ზოგის თქმით, ტვირთზიდვის მოცულობა უკანასკნელ ხანებში მცირდება და რომ ყოველ შემთხვევაში უფრო იაფი იქნება არსებული რკინიგზის ხაზის გაუმჯობესება. "გაზეთმა "იზვესტიამ" გასულ კვირას აღნიშნა, რომ სავალი გზის ყველაზე ძნელ უბნებზე მატარებელი საათში 9 მილზე მეტ სიჩქარეს ვერ განავითარებს.

---

x. აქ კორესპონდენტს მოუვიდა უნებლიე შეცდომა, სინამდვილეში 400-ით შემცირდა სტუდენტთა ადგილები. /რედ. შენ./

ყოველივე ამან დიდი მღელვარება გამოიწვია ქართველი ხალხისა, ეს იყო უმთავრესი მოთხოვნა ზვიად გამსახურდიას შიმშილობისა. რომლისაც მან გაიმარჯვა. მთავრობამ გადაწყვიტა კონსერვაცია მშენებლობისა პროექტის შემდგომი შესწავლისათვის, მან სთქვა, რომ მოიკრებს ძალებს და მოინახულებს მშენებლობას, რათა დარწმუნდეს, რომ იგი ნამდვილად შეჩერებულია.

გამსახურდია არის აგრეთვე ფუძემდებელი ჰელსინკის ხელშეკრულებისათვის ხელმშემწყობი ჯგუფისა საქართველოში. მან განაცხადა, რომ მშენებლობის მორატორიუმის გამოცხადება "შეიძლება იყოს ხრიკი პროტესტების შესაჩერებლად და საზოგადოების ყურადღების მისაძინებლად".

ასეთივე ვნებათაღელვა გამოიწვია ხაში ჰიდროელექტროსადგურისა და წყალსაცავის აგების გეგმამ. ერთმა მათგანმა წყლით უნდა დაფაროს საქართველოს ეროვნული პოეტის, შოთა რუსთაველის სამშობლო -სოფელი რუსთავი.

"ეს იგივეა, რომ ვინმემ წყლით დაფაროს სტრეტფორდ-ეპონ -ევონი" - სთქვა გამსახურდიამ.

ანდრუს როქსბორო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სომხური მოსახლეობის პრივილეგიები ჯავახეთში

სკკპ ცკ პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქ.
ცკ კპ პირველ მდივანს ე. შ ე ვ ა რ დ ნ ა ძ ე ს

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს
ზ. პ ა ტ ა რ ი ძ ე ს

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ჯავახეთის ქართველი მოსახლეობის წარმომადგენლები, საქართველოს ამ მხარეში უკიდურესი მძიმე მდგომარეობის გამო თავს ვალდებულად ვთვლით მოგმართოთ შემდეგი წერილით.

როგორც ცნობილია, საქართველოში თურქეთის სამსაუკუნოვანი ბატონობისას ჯავახეთში მოსახლეობა XIX საუკუნის 30-იან წლებამდე მხოლოდ ქართული იყო. XIX საუკუნის 30-იანი წლების დამდეგს მეფის რუსეთის გაბატონების შედეგად ჯავახეთის მოსახლეობის შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა, რადგან მეფის რუსეთმა აიძულა ჯავახეთის მნიშვნელოვანი ნაწილი თურქეთში გადასახლებულიყო. მათ ადგილზე სომხები, რუსები და მერძევები დაასახლეს. ამ დროიდან იწყება ქართული მოსახლეობის შემცირება. ეს პროცესი საბჭოთა ხელისუფლების წლებში კიდევ უფრო გაძლიერდა, ხოლო უკანასკნელი ოცდაათი წლის მანძილზე კატასტროფულად ვითარდება. თუ ასე გაგრძელდა სამი ათეული წლის შემდეგ ჯავახეთი ქართველებისაგან პირწმინდად დაიცლება. გადავიდეთ კონკრეტულ ფაქტებზე.

ისედაც თითზე ჩამოსათვლელი ქართული სოფლებიდან უკანასკნელ ხანებში მთლიანად დაიცალა სოფ. ძილდა, აზმანა და დანკალი, ხოლო აფნიაში მოხუცებულთა ცხრა კომლი დარჩა. სოფ. ბარალეთში ოცამდე ქართული კომლია. ათი წლის წინათ კი ოთხასამდე იყო, კოთელიაში დღეს ასოცდაათამდე ქართული კომლი ცხოვრობს, ათი წლის წინათ კი სამასამდე ცხოვრობდა. დღევანდელ სოფელ გოკიოში ასამდე სომხური კომლია და მხოლოდ სამი ქართული. თხუთმეტი წლის წინათ კი გოკიოში ორასამდე ქართული კომლი იყო, სომხური კი არცერთი, ქართველთაგან ჯავახეთის დაცლის სურათი უფრო უნუგეშო ხდება, თუ გავითვალისწინებთ მოსწავლეთა რიცხვს ჯავახეთის ქართულ სკოლებში. ოთხმოცკომლიან სოფ. ბარალეთის რვაწლიან სკოლაში მხოლოდ ოცამდე მოწაფე არის, სკოლა მალე გაუქმდება. ყველაზე დიდი ქართული სოფლის, ასოცდაათკომლიან კოთელიის ქართულ საშუალო სკოლაში მხოლოდ სამოცამდე მოსწავლეა. სამოცდაშვიდკომლიანი სოფლის, გოგაშენის ქართული სკოლაც მოსწავლეთა უკმარისობის გამო მალე დაიკეტება. ანალოგიური ვითარებაა დანარჩენ ქართულ სოფლებშიც. ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ ქართველი ახალგაზრდობა იძულებულია მასიურად დატოვოს მამა-პაპეული მიწა-წყალი, რადგან მისთვის ჯავახეთში სოციალურ-ეკონომიური და კულტურული განვითარების არავითარი პირობები არ არსებობს. ამ მხრივ ქართული მოსახლეობა უარეს დღეშია ვიდრე სომხური.

ახალქალაქის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში არ არის არცერთი ქართული ჯგუფი, ჯავახეთში არ არსებობს არც ერთი ქართული კულტურული დაწესებულება. ქართულ სოფლებში არასოდეს არ ჩატარებულა ქართული პოეზიის საღამო, იშვიათად უჩვენებენ ქართულ კინოებს, ქართული სოფლები - ოკამი, გოგაშენი, ჩუნჩხა, პტენა

და ათნია მოწყვეტილი არიან რაიონულ ცენტრს. ამ სოფლებში არ დადის ავტობუსი.

1980 წ. ამ სოფლების მცხოვრებლებმა საქართველოს ცკ-ის გაუგზავნეს თხოვნა ავტობუსის გამოყოფის შესახებ. მათ გამოუყოთ ავტობუსი, "პაზ-632", მაგრამ იგი გადაეცა სომხურ სოფელ სამსარს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში სულ უფრო და უფრო უარესდება დამოკიდებულება სომხებსა და ქართველებს შორის. 1972-74 წლებიდან ჯავახეთში მოქმედებს რამდენიმე იატაკქვეშეთა ანტიქართული, სომხური ორგანიზაცია, აღნიშნული ორგანიზაციის წევრები სომხურ მოსახლეობაში ეწევიან ანტიქართულ აგიტაციას და სისტემატურად ატარებენ პროვოკაციებს, რომლებშიც მოითხოვენ ბოგდანოვკის, ახალქალაქის და ბორჯომის რაიონის ნაწილის სომხეთისათვის შეერთებას. ამას ისინი დაუფარავად, საჯაროდ ლაპარაკობენ სხვადასხვა შეკრებაზე და მოსახლეობას აღელვებენ. ამ აგიტაციის შედეგია, რომ უკანასკნელ ხანებში სომხების ნაწილი აშკარა მტრობას ავლენს ქართველების მიმართ. 1978 წ. ახალქალაქის რაიონში მოქმედ ერთ-ერთ სომხურ ხალხურ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში, მისთვის ინტერნაციონალურის დასარქმევად მიიწვიეს ნათელა გოგოლაძე, სომხურ სოფელ ოხტილაში გამართულ პირველსავე კონცერტზე, როდესაც გამოცხადდა რომ ნ. გოგოლაძე ქართულ სიმღერას შეასრულებს, მაყურებლებმა ქართველ გოგონა სცენიდან გააძევა.

1980 წ. 7 ნოემბერს ახალქალაქის სტადიონზე სომხური ჯგუფი თავს დაესხა ქართველებს და მოსთხოვეს შეეწყვიტათ "ძაღლურ ენაზე" საუბარი, რადგან ქართველები ცოტანი იყვნენ მათ სტადიონი დატოვეს. ანტიქართული აგიტაციისათვის არა თუ ვინმე ისჯება, არამედ პირიქით, არის შემთხვევები, როდესაც სომხური ანტიქართული ორგანიზაციების წევრები წინაურდებიან კიდეც. მაგ. სოფ. გარალეთში მოქმედი ანტიქართული ორგანიზაციის წევრი ვალოდია მარაქიანი 1978 წ. დაინიშნა სოფლის კულტურის სახლის დირექტორად. იგივე ორგანიზაციის წევრი იყო გარსელიანი 1976 წ. მეცხოველეობის ფერმის გამგეა, ხოლო 1980 წ. სოფლის პარტიული ორგანიზაციის მდივანი იყო. იმავე ორგანიზაციის წევრი ჰენრიკ მაკარიანი ჯერ კოლმეურნეობის მთავარ ზოოტექნიკოსად დაინიშნა, ხოლო 1978-79 და 81 წ.-ში პარტიული ორგანიზაციის მდივნად. ასეთ პირობებში აღარც არის გასაკვირი, რომ სოფ. გარალეთიდან სასწავლებლად წასულ ქართველ ახალგაზრდებს სოსო გვარამაძეს და დათო გოგოლაძეს სწავლის დამთავრების შემდეგ თვენახევრის ბრძოლის გადატანა მოუხდათ მშობლიურ სოფელში ჩასახლებისათვის. ამგვარია არა ერთი, არამედ საერთო სურათი. აღარაფერს ვამბობთ ჯავახეთის ისტორიულ ძეგლებზე.[X] რაც კი გადაურჩა აქამდე ნგრევას უპატრონობა მოსპობის გზაზე

---

X. ახალქალაქში უკანასკნელ ხანებში სომხებმა მოსახლეობამ დაანგრია ეკლესია "ფერისცვალება" და სასაფლაოს XI საუკუნის ეკლესია. რაც შეეხება "კუმურდოს", იგი "სომხურ" ძეგლად აქვთ გამოცხადებული და მასში ქართულ მოსახლეობას უშვებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგას. აღნიშნული ვითარების გამოსწორების მიზნით ითვალისწინებს:

სასწრაფოდ შემუშავდეს ჯავახეთის ეთნიკური, სოციალური და კულტურული ვითარების ფართო გეგმა. დაჩქარდეს მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობა. აღნიშნული რაიონის მშენებლობა დამთავრდეს ამავე ხუთწლედში. ახალქალაქი რკინიგზით დაუკავშირდეს ახალციხეს. /ამ პროექტის განხორციელება არ გაჭირდება თუ მას სამხედრო-სტრატეგიული მოსაზრებანიც დაედება საფუძვლად/.

წელსვე ჩამოყალიბდეს ახალქალაქის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში ქართული ჯგუფი. თბილისის სათანადო დაწესებულებებს დაევალოთ ზრუნვა ჯავახეთის ქართულ სკოლებზე.

ყოველ ქართულ სოფელს გამოეყოს ავტობუსი. გაიხსნას ქართული კულტურის დაწესებულებები, შემოქმედებითი ანსამბლები და სხვ.

დაიწყოს მშენებლობა მიტოვებულ სოფლების აღსადგენად.

საქართველოს სსრ-ში მცხოვრებთ მიეცეთ საკონტროლო პოსტებზე გავლის უფლება, მხოლოდ პასპორტის წარდგენის საფუძველზე.

აღიკვეთოს ანტიქართული პროპაგანდა.

გაძლიერდეს ისტორიული ძეგლების დაცვა.

1981 წ. თებერვალი

რედაქციისაგან:

წარმოდგენილი პეტიცია, რომელსაც ხელს აწერს 60 მოქალაქე, სახ. უშიშროების კომიტეტმა ხელმოწერებითურთ ჩამოართვა ერთერთ ხელისმომწერს, რომელიც შემდეგ ჯარში გაიწვიეს, /ეკა მუჯირიშვილს/ მიუხედავად ამ სამართლიანი მოთხოვნებისა საქართველოს სსრ ხელმძღვანელობამ ვერავითარი ზომები ვერ მიიღო. ამის თვალსაჩინო მაგალითია, წელს სოფ. აფნიაში ქართული სკოლის დახურვა. მომავალი წლისათვის ქართული სკოლა უნდა გაიხსნას სოფ. ხუცხაში. ბოგდანოვკის რაიონში ჩასახლებული ჩუხჩეები /22 კომლი/ დიდი ხანია არიან ითხოვენ მშობლიურ სოფელში დაბრუნების უფლებას. დღესდღეობით სოფ. აფნია ბოლო ახალ სომხურმა მოსახლეობამ დაიკავა.

ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში ჯავახეთის ქართული სოფლები 100-ზე, 150, 200, 300, კომლიანი იყო და ამ სოფლებში ქართველობა ცხოვრობდა. ამჟამად ისინი დაიკავა სომხურმა მოსახლეობამ.